

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

გიორგი დოთიაშვილი

ევროპელი მოგზაურები და მათი ცნობები შიდა ქართლის შესახებ

(XVIII საუკუნის ბოლო და XIX საუკუნის I მეოთხედი)

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე საქართველოს

ისტორიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელები

პროფესორები: გიორგი სოსიაშვილი, ოთარ ჯანელიძე

გორი

2020

ანოტაცია

ნაშრომში შესწავლილია XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის პირველი მეოთხედის იმ ევროპელ მოგზაურთა ცნობები შიდა ქართლის შესახებ, რომლებმაც საქართველოში იმოგზაურეს. მათ მნიშვნელოვანი ინფორმაცია დაგვიტოვეს შიდა ქართლის გეოგრაფიული გარემოს, მოსახლეობის სოციალური სტრუქტურის, მათი ადათ-წესების, სათავადო საგვარეულოების, ბუნებრივი რესურსების, ფლორისა თუ ფაუნის შესახებ და სხვ.

ნაშრომი ანოტაციის, შესავლისა და დასკვნის გარდა, ხუთი თავისაგან შედგება, თითოეული თავი თითოეულ მოგზაურს ეძღვნება (ერთვის გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა).

პირველ რიგში წარმოჩენილია მოგზაურთა (იაკობ რაინეგსი, ედუარდ აიხვალდი, იოჰან გიულდენშტედტი, ჟაკ ფრანსუა გამბა, ბერნარ როტიე) პორტრეტული შტრიხები, აღწერილია რა წინაპირობები უძღოდა მათი მოგზაურობის დაგეგმვასა და განხორციელებას. ძირითადი ნაწილი ეთმობა შესაწავლად შერჩეული ევროპელი მოგზაურების ცნობებს შიდა ქართლის შესახებ.

ევროპელ მოგზაურთა ცნობები მნიშვნელოვანი პირველწყაროა შიდა ქართლის ისტორიის შესასწავლად. მათი ცნობების სანდოობას ზრდის ის გარემოება, რომ ისინი ხშირად აღწერილი ამბების თვითმხილველნი არიან. არც თუ იშვიათად დასახელებული ავტორების მიერ გაშუქებული მოვლენები სუბიექტივიზმის ნიშნებსაც შეიცავს.

უცხოელ მოგზაურთა ნაწერების შეჯერება სხვა წყაროებთან გვაძლევს საშუალებას უფრო ზუსტად აღვადგინოთ ჩვენთვის საინტერესო ეპოქის სინამდვილე შიდა ქართლში.

ნაშრომი ემყარება განსახილველ ავტორთა გამოქვეყნებულ ტექსტებსა და სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზს.

European travelers and their information about Shida Kartli

(Last XVIIIth century and I quarter of XIXth century)

Annotation

This paper studies the information of Shida Kartli European travelers of the end of the XVIII century and the first quarter of the XIX century who traveled to Georgia. They left us important information including the geographical environment of Shida Kartli, the social structure of the population, their customs, noble ancestors, natural resources, flora and fauna, etc.

In addition to the annotation, introduction and conclusion, the paper consists of five chapters, each chapter dedicated to each traveler (attached list of references).

First of all, short biographical portraits of the named authors (Jacob Rainegs, Eduard Aichwald, Johann Guldenstedt, Jacques François Gamba and Bernard Rotier) are presented with characteristic features, they describe the preconditions that guided the planning and implementation of their trip. The main part is dedicated to the information of European travelers selected for study about Shida Kartli.

The information of German and French travelers is an important first source for studying the history of Shida Kartli, to clarify specific facts and events. The credibility of their information is enhanced by the fact that they are often eyewitnesses to the stories described. The events covered by not infrequently named authors also contain signs of subjectivism.

Comparing the information recorded by foreign travelers with the data of other sources allows us to more accurately reconstruct the epoch of interest to us and its reality in Shida Kartli.

The master thesis is based on the published texts of the authors under review and the analysis of special scientific literature.

შინაარსი

ანოტაცია.....	2
Annotation	3
შესავალი.....	5
თავი I. იაკობ რაინეგსი	11
1.1. იაკობ რაინეგსი XVIII საუკუნის ქართლში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ.....	17
თავი II. ჟაკ ფრანსუა გამბა.....	19
2.1. ჟაკ ფრანსუა გამბა ქალაქ გორში ვაჭრობის განვითარების შესახებ	211
2.2. ადგილობრივი მიწათმფლობელობის წესი, ურთიერთობა გლეხსა და ფეოდალს შორის.....	244
თავი III. იოჰან ანტონ გიულდენშტედტი	27
3.1. შიდა ქართლის ბუნებრივ-გეოგრაფიული ლოკალიზაცია.....	30
3.2. იოჰან გიულდენშტედტი შიდა ქართლში მცხოვრები ოსების შესახებ	32
3.3. გიულდენშტედტი შიდა ქართლის გზების შესახებ	34
თავი IV. ბერნარ ეჟენ ანტუან როტიე	38
4.1. ცნობები ქალაქ გორისა და უფლისციხის შესახებ.....	42
თავი V. ედუარდ აიხვალდი.....	45
5.1. ქალაქ გორის მოსახლეობა და ქართლში არსებული სოციალური გარემო ედუარდ აიხვალდის მიხედვით	47
5.2. ედუარდ აიხვალდი ეთნიკური უმცირესობების შესახებ შიდა ქართლში	50
დასკვნა.....	52
გამოყენებული ლიტერატურა:.....	55

შესავალი

ევროპული წერილობითი წყაროები საქართველოს ისტორიის შესწავლისათვის მეტად მნიშვნელოვანია, მით უფრო თუ ეს წყაროები ისეთი ავტორების შექმნილია, რომელთაც უშუალო შეხება ჰქონიათ ქართულ სინამდვილესთან. ამ კუთხით პირველწყაროთა ცალკე რიგს მიეკუთვნება ევროპელი მოგზაურების წიგნები თუ ჩანაწერები, რომლებშიც საქართველოს თანადროული ყოფა-ცხოვრებაც აისახა. ასეთი მოგზაური ცოტა როდია. ბევრი მათგანის ნაშრომი უკვე ქართულადაც არის თარგმნილი და გამოცემული, ბევრიც დღემდე ელოდება ქართველ მთარგმნელებსა და მკვლევართ.

ევროპელები ავტორები, ანტიკურ პერიოდზე რომ არაფერი ვთქვათ, გვიან შუა საუკუნეებშიც იყვნენ დაინტერესებულნი კავკასიაში და მათ შორის საქართველოში მიმდინარე პროცესებით. ამ მხრივ აღსანიშნავია იტალიელი დონ ქრისტოფორო კასტელის, პიეტრო დელა ვალესა და დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელის, ფრანგი ჟან შარდენისა და სხვათა ნაწერები, მაგრამ ინტერესი ჩვენი ქვეყნის მიმართ დასავლელ მოგზაურთა შორის განსაკუთრებით გაიზარდა XVIII საუკუნის ბოლოდან, რაზეც აღნიშნულ პერიოდში საქართველოში მათი სიმრავლევ მეტყველებს. ეს იმით აიხსნება, რომ ამ დროისათვის ევროპული სახელმწიფოები უფრო მეტ ყურადღებას იჩენენ კავკასიის გეოპოლიტიკური თუ სავაჭრო-ეკონომიკური მდგომარეობისადმი, ინტერესდებიან საქართველოზე გამავალი გზების გამოყენებით აღმოსავლეთის ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობებისათვის და სხვ.

დღეს, როდესაც საქართველო კვლავ გახდა დასავლეთის მრავალმხრივი დაინტერესების ობიექტი, როდესაც ჩვენ ქვეყანას ხშირად სტუმრობენ უცხოელი

პოლიტიკოსები, დიპლომატები, მეცნიერები, ჩამოდის ასეულათასობით ტურისტი და სხვ. განსაკუთრებით ისეთ კონფლიქტურ ზონაში, როგორც შიდა ქართლი და რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპრებული მისი ტერიტორიებია, დიდ ინტერესს იწვევს იმის გარკვევა, რა იცოდა ევროპამ ამ რეგიონის შესახებ უფო ადრე, კერძოდ XVIII- XIX საუკუნეების მიჯნაზე, როდესაც აქ პირველად გამოიკვეთა რუსეთის დომინანტური როლი.

ქართულ ისტორიოგრაფიაში მეტ-ნაკლებადაა შესწავლილი ჩვენთვის საინტერესო პერიოდის ევროპულ წყაროებში აღწერილი საქართველოს ისტორია. განსაკუთრებით ფასეულია გერმანელი, ფრანგი და ინგლისელი მოგზაურების დაკვირვებები, რომლებიც ფართოდ აისახა მათ ნაშრომებში და მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ევროპული ქართველოლოგიის განვითარებაში. ამ ნაშრომთა შორის აღსანიშნავია იოჰან გიულდენშტედტის¹, მორიც ვაგნერის², ედუარდ აიხველდის³, აუგუსტ ჰაქსტჰაუზენის⁴, იაკობ რაინეგის⁵, კ. კოხისა და ო. სპენსერის⁶ დიუბუა დე მონპერეს⁷, სერ რობერტ კერ პორტერის, თომას

¹ იოჰან გიულდენშტედტი, მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა. ტ. I, ტ. II, თბ., 1962-1964.

² მორიც ვაგნერი საქართველოს შესახებ. გერმანული ტექსტი თარგმნა, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა. თბ., 2002.

³ ედუარდ აიხველდი საქართველოს შესახებ, გერმანულიდან თარგმნა გია გელაშვილმა, თბ., 2001.

⁴ აუგუსტ ჰაქსტჰაუზენი საქართველოს შესახებ: XIX საუკუნის პირველი ნახევარი. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა. თბ., 2011.

⁵ იაკობ რაინეგი, მოგზაურობა საქართველოში. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა. თბ., 2002.

⁶ კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. გერმ. თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ლონდა მამაცაშვილმა, თბ., 1981.

⁷ ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს (1798-1850) ცნობები საქართველოს შესახებ, თარგმანი მოამზადეს ლელა მიქიაშვილმა და გიორგი სანიკიძემ. <http://umurgulia82.blogspot.com/2018/07/1798-1850.html> ასევე, ლ. მიქიაშვილი, რამდენიმე ეპიზოდი ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს მოგზაურობიდან

ახალციხეში (საფარა, ხერთვისი). <http://logos.org.ge/files/files/Lela%20Miqiashvili.pdf>

ლუმსდენის, ჰენდერსონ ებენეცერის, რობერტ ლაიელის, რობერტ მიგნანის, რიჩარდ ვილბრაჰამის¹ და სხვ.

საქართველოს შესახებ ევროპელ მოგზაურთა ცნობების თარგმნასა და შესწავლაში თავისი წვილი შეიტანეს მკვლევარმა ისტორიკოსებმა გაი გელაშვილმა, ლონდა მამაცაშვილმა, ლელა მიქიაშვილმა, ელდარ მამისთვალიშვილმა², ირინე ნაჭყებია³, გიორგი სოსიაშვილმა⁴, ილია ტაბაღუამ⁵ და სხვებმა.

წინამდებარე ნაშრომში მიზნად ვისახავთ შვეიცარიული რამდენიმე ევროპელი მოგზაურის, კერძოდ: იაკობ რაინეგის, იოჰან გიულდენშტედტის, ედუარდ აიხველდის, ჟაკ ფრანსუა გამბასა და ბერნარ ეჟენ ანტუან როტიეს ცნობები შიდა ქართლის შესახებ.

XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის I მეოთხედში უცხოელი მოგზაურები ხშირად ჩამოდიოდნენ საქართველოში, ეცნობოდნენ და აღწერდნენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხისათვის დამახასიათებელ ტრადიციებსა თუ ხალხის ყოფა-ცხოვრების სხვა მნიშვნელოვან ასპექტებს, ყურადღებას ამახვილებდნენ ქვეყანაში არსებულ სატრანსპორტო გზებსა თუ ბუნებრივ-

¹ გ. გელაშვილი, ბრიტანული წყაროები XVIII-XX საუკუნის საქართველოს შესახებ, თბ., 2010.

² XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ /იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ე. მამისთვალიშვილმა, თბ., 1981; რუი გონსალეს დე კლავიხოს ცნობები საქართველოს შესახებ. ესპანურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ე. მამისთვალიშვილმა, თბ., 1992.

³ ი. ნაჭყებია, ფრანგ რეზიდენტთა ცნობები საქართველოზე. ნარკვევები საფრანგეთ-ირანის დიპლომატიური ურთიერთობის ისტორიიდან: (XIX საუკუნის დასაწყისი), თბ., 2002; ფრანგი ავტორების ცნობები მე-19 საუკუნის საქართველოს შესახებ (1, 2, 3, 4). მოამზადა ირინე ნაჭყებია, თბ., 2017.

⁴ გ. სოსიაშვილი, გერმანელი მოგზაურები ოსების შესახებ, თბ., 2007; გ. სოსიაშვილი, იდა პფაიფერის მოგზაურობა კავკასიაში, თბ., 2013; აბრამ ვალენტინ უილიამს ჯექსონის ცნობები საქართველოს შესახებ, ქართული თარგმანი გამოსცა, გამოკვლევა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. გიორგი სოსიაშვილმა, თბ., 2014; გ. სოსიაშვილი, რობერტ კერ პორტერი და ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 2015.

⁵ ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, წგნ. 1,2,3, თბ., 1984-1987.

გეოგრაფიულ მრავალფეროვნებაზე, ხშირად ობიექტურად და მიუკერძოებლად ასახავდნენ საქართველოში არსებულ სინამდვილეს და აქტიურად ინტერესდებოდნენ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური თუ კულტურული ყოფაცხოვრების აღწერით. მათი მიზანი იყო სრული და ნათელი სურათი წარმოედგინათ იმ დროის საქართველოსა და მისი მოსახლეობის შესახებ.

ეს იყო პერიოდი, როდესაც საქართველომ დაკარგა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა და რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოექცა. კოლონიად ქცეულ ქვეყანაში წინა პლანზე მეტროპოლიის ეკონომიკურმა ინტერესებმა წამოიწია. საქართველოს ეკონომიკა ევროპული კაპიტალის შემოდინებისათვის თითქმის ჩაკეტილი აღმოჩნდა, დასავლეთის მოწინავე სახელმწიფოებთან კულტურული კავშირების დამყარებაც გაძნელდა. იმპერიის მიზნებში არ შედიოდა მისი განაპირა მხარის სამრეწველო აღმავლობა, მით უფრო დამოუკიდებელი ეკონომიკის შექმნა, რასაც ადგილობრივ მოსახლეობაში შეიძლებოდა პოლიტიკური თავისუფლების სურვილიც გაეძლიერებინა. ამიტაც უნდა აიხსნას, რომ 1831 წელს რუსეთის ფინანსთა სამინისტროს დადგენილებით გაუქმდა შეღავათიანი ვაჭრობის კანონი, რამაც დიდად შეაფერხა საქართველოში საერთაშორისო ვაჭრობა, რომელიც ისედაც ცუდ მდგომარეობაში იმყოფებოდა ირან-ოსმალეთისა და ორივესთან რუსეთის დაუსრულებელი ომების გამო (მარტო XIX საუკუნის პირველ ნახევარში რუსეთმა ორ-ორი ომი აწარმოა ირანთან (1804 - 1813, 1826-1828 წწ.) და ოსმალეთთან (1806-1812, 1828-1829 წწ.). ეს გარემოება ევროპელ ვაჭრებს უბიძგებდათ უფრო უსფრთხო სატრანზიტო მაგისტრალებისა თუ სავაჭრო-საპარტნიორო ქვეყნების მოძიებისაკენ.

აღნიშნულ პერიოდში ქვეყანაში ჩამოსული გერმანელი თუ ფრანგი მოგზაურები დაუფარავად საუბრობენ ქვეყნის ეკონომიკური ჩამორჩენილობის გამომწვევ არსებით მიზეზებზე, რომლებიც იმდენად წინააღმდეგობრივი იყო, რომ მათი დაძლევა მხოლოდ საერთო ძალისხმევით თუ შეიძლებოდა. გერმანელი მოგზაური იაკობ რაინეგსი შენიშნავს, რომ ქვეყნის დაუძლურებას არა მხოლოდ მტრების გამუდმებული შემოსევები განაპირობებდა, არამედ მუდმივი შინა არეულობა და შფოთიც, რაც ხელს უშლიდა ძალთა კონსოლიდაციას და ეკონომიკურ განვითარებასაც წინ ეღობებოდა.

ფრანგი მოგზაური ჟაკ ფრანსუა გამბა კი ფეოდალურ წეს-წყობილებას მიიჩნევდა ქვეყნის ასეთ მძიმე მდგომარეობაში ყოფნის ერთ-ერთ გამომწვევ მიზეზად. როდესაც გლეხი ბატონისაგან ყოველგვარ შევიწროვებას განიცდიდა და იძულებული იყო მის საკეთილდღეოდ საკუთარი მოსავლის დიდი ნაწილი გაეღო. გლეხობას საკმარისი მიწა არ გააჩნდა და მიჯაჭვული იყო მემამულეზე, მაშინდელი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, მშრომელი ფენა კერძო საკუთრების ქონის უფლებას საერთოდ მოკლებული იყო, რაც ქვეყნის განვითარებას ხელს უშლიდა. თუმცა როგორც გამბა შენიშნავდა, ეს გამოწვეული იყო არასახარბიელო საგარეო მდგომარეობითაც. როდესაც ქვეყანა გამუდმებულ შემოსევებს განიცდიდა, გლეხი იძულებილი ხდებოდა ფეოდალის მხრიდან წამოყენებულ კაბალურ პირობებზე დათანხმებულიყო, ხოლო მიწისა და დაცვის სანაცვლოდ კი ბატონის სასარგებლოდ ეშრომა.

ამ სირთულეებს ემატებოდა რუსეთის იმპერიის მიერ მოსახლეობისათვის დაკისრებული არაერთი გადასახადი, რომლებიც საქართველოში მყოფი რუსი ოფიცრების შენახვასა თუ კოლონიური რეჟიმის სხვა გეგმების განხორციელებას

ხმარდებოდა. გადასახადების სიმძიმეც ძირითადად ასევე გლახს აწვებოდა კისერზე და მის ისედაც რთულ მდგომარეობას უარესად ამძიმებდა.

ევროპელ მოგზაურებს პოლიტიკურ-ეკონომიკური პრობლემების გარდა ყურადღების მიღმა არ დარჩენიათ არც ის ბუნებრივი რესურსები, რომელთაც საქართველო ფლობდა, თუმცა მათი შეუსწავლელობისა და წიაღისეულის დამუშავების სათანადო ტექნიკის უქონლობის გამო, ათვისება და ქვეყნის სასკეთილდღეოდ გამოყენება ვერ ხერხდებოდა. წიაღისეული მადნებისა და ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეებს დიდი ყურადღება დაუთმო გერმანელმა მოგზაურმა იოჰან გიულდენშტედტმა, რომელმაც დაწვრილებით აღწერა საქართველოს ბუნებრივი მრავალფეროვნება - ფლორა, ფაუნა, გეოგრაფია და გეოლოგიური გარემო.

თავი I

იაკობ რაინეგსი

იაკობ რაინეგსი ერთერთია იმ მოგზაურთაგან, რომელიც საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ ძალზე დაუახლოვდა ადგილობრივი მმართველი წრეების წარმომადგენლებს და თვით ერეკლე მეფეს, რომელთან მიმოწერას ქვეყნიდან გამგზავრების შემდგომ ხანებშიც აწარმოებდა.

იაკობ რაინეგსი, რომლის ნამდვილი სახელი იყო ქრისტიან რუდოლფ ელიხი, საკმაოდ იდუმალეობით მოცული პიროვნება გახლდათ. მოგზაურობის დროს იგი მაქსიმალურად ცდილობდა არ გაემხილა საკუთარი ნამდვილი ვინაობა და ამის თავიდან აცილების მიზნით ხშირად გამოგონილ სახელებს იყენებდა. ამის გამოცაა, რომ ჩვენთვის მისი ბიოგრაფიის შესახებ ბევრი რამ სათანადოდ არ არის ცნობილი.

სანამ მოგზაურობას დაიწყებდა, რაინეგსი უნგრეთში საფუძვლიანად დაეუფლა მედიცინას და სამთამადნო წარმოების საქმეც შეისწავლა. 1776 წელს რაინეგსი მის ნაცნობ გრაფ კოჰარისთან ერთად მიემგზავრება თურქეთში, სადაც მას ხვდება კონსტანტინოპოლში სულთანთან ერეკლეს მიერ გაგზავნილი ელჩი ვინმე მირზა გურგენა, რომლის ნამდვილ სახელს მოგზაური არ გვიმხელს. სწორედ იგი შეუთანხმდება რაინეგსს საქართველოში ჩამოსვლის შესახებ, შეატყობს რა რომ უცხოელი საკმაოდ განათლებული პიროვნებაა, რომლის

გაცნობით მეფე ერეკლე მეორე გახარებული დარჩება. ელჩმა პირობა მიიღო, რომ მოგზაური საქართველოში ექვს თვეში ჩამოვიდოდა.

1778 წელს რაინეგსი მიემგზავრება სომხეთში, საიდანაც მალევე ერეკლე მეორის მიერ გაგზავნილი ამაღის თანხლებით, კოჭართან ერთად თბილისისაკენ მოემართება. ქართველ მეფეს რაინეგსი ძალიან მოეწონა მისი განათლებისა და საექიმო ცოდნის გამო, მან ხომ ჩამოსვლიდან რამდენიმე ხანში ციებ-ცხელებისაგან განკურნა ბატონიშვილი გიორგი. ერეკლემ რაინეგსი სასახლის ექიმად დანიშნა.

„რაინეგსმა ერეკლეს კარზე მრავალმხრივი მოღვაწეობა დაიწყო, როგორც თვითონ ამბობს, ხელი შეუწყო სამთამადნო ტექნიკის გაუმჯობესებას, ეწეოდა საექიმო მოღვაწეობას, ასწავლიდა ზარაფხანის ოსტატებს საჩამომსხმელო საქმიანობას, ევროპულ ყაიდაზე მოაწყო თოფის წამლის წარმოება, ვენეციიდან გამოწერილი ახალი მოწყობილობებით გადაახალისა სტამბა და მრავალი სხვ. ეთათბირებოდა ერეკლეს ქვეყნის საპოლიციო, სასამართლო ორგანიზაციის თუ სამხედრო საქმის გარდაქმნის შესახებ. ყველაფერი ამისთვის კი მან მიიღო მიწები ერეკლესაგან ქვემო ბოლნისში 50 კომლი გლეხით”.¹

რაინეგსის ეს ცნობები მეფის კარზე მიღწევებისა და დამსახურებების შესახებ, რა თქმა უნდა, ეჭვს იწვევს, ვინაიდან შეუძლებელია მას ყველა ეს დარგი ისეთ მაღალ დონეზე სცოდნოდა, რომ მისთვის მათი გაძლოლისა და მითუმეტეს საპოლიციო თუ სამხედრო საქმეში ჩარევის ნებართვა მიეცათ.

ზემოთ მოყვანილ რაინეგსისეულ ცნობებს საფუძვლიანად უარყოფს დავით ბატონიშვილი გრაფ მუსინ-ჰუშკინისადმი მიწერილ წერილში, რომელიც მან 1800 წლის 24 ოქტომბერს დაწერა. როგორც წერილის შინაარსიდან ირკვევა,

¹ იაკობ რაინეგსი, მოგზაურობა საქართველოში, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2002, გვ. 11.

რაინეგსი იყო დიდად პატივსაცემი და განათლებული პიროვნება, თუმცა დიდი ავანტიურისტი და განდიდების მანიით შეპყრობილი ადამიანიც, რაც მის ღირსებებს გარკვეულწილად ჩრდილს აყენებდა. შესაბამისად, აუცილებელია რაინეგსის ცნობები კრიტიკულად შეფასდეს, მისი პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე.

არსებობს ცნობა, რომ იაკობ რაინეგსმა მოწამლა საკუთარი თანამგზავრი გრაფი კოჰარი მისი ქონების დაუფლების მიზნით. ამის ეჭვი ჰქონდა ერეკლესთან დაახლოებულ კათოლიკე სამღვდელო პირს პატრ ანდრეის. სწორედ მისთვის, ზიარების დროს, სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში, გრაფს დაუტოვებია ქონების გარკვეული ნაწილი, რომლის პატრისათვის გადაცემაზეც რაინეგსი უარს ამბობდა.

შესაძლოა რაინეგსს მართლაც მოეწამლა მისი თანამგზავრი, რომელმაც საკუთარი ეჭვები ამის შესახებ პატრს გაანდო, თუმცა თვითონ რაინეგსი ამბობდა რომ კოჰარი აქეთ იყენებდა მას საკუთარი ფინანსური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, რადგან იგი მოგზაურობაში გამგზავრებამდე საკმაო ხნის წინ უკვე გაკოტრებული იყო. ასე რომ, რაინეგსისგან ფინანსური დაინტერესების მიზნით კოჰარის მოწამვლის ამბავი საეჭვოა, შესაძლოა რაინეგსი კოჰარისაგან შანტაჟს განიცდიდა და ეს უფრო ყოფილიყო რეალური მიზეზი რაინეგსის ასეთი ქმედებისა. აღსანიშნავია ისიც, რომ რაინეგსი მას სახლიდან გამოსვლის ნებას თითქმის არ აძლევდა.

პატრი ანდრეი ერეკლეს მოახსენებს, რომ რაინეგსმა თბილისში მყოფ გრაფს აწყენინა, არ მიუშვა ის მეფესთან საჩივრელად და ხელთ იგდო მისი ქონება, ხოლო როდესაც მან უკვე გადაწყვიტა მეფესთან მისვლა, იგი მოულოდნელად

გარდაიცვალა: ეს საფუძვლიან ეჭვს ბადებს, რომ კოჰარი ბუნებრივი სიკვდილით არ გარდაცვლილაო.

ერთის მხრივ, აღნიშნული ბრალდება პატრს შესაძლოა წამოეყენებინა მას შემდგომ, რაც გაიგო, რომ რაინესი მას უარს ეუბნებოდა გრაფის ქონებიდან წილის გადაცემაზე.

ასე იყო თუ ისე, ერეკლეს ეს საქმე არ გამოუძიებია და რაინესიც, როგორც უცხოელი, არ დაუსჯია, თუმცა თავად ფაქტი ერეკლეს რაინესისადმი უკმაყოფილების ერთ-ერთ პირველ მიზეზად უნდა გამხდარიყო. შემდგომში როგორც დავით ბატონიშვილის წერილიდან ირკვევა, ამას დაემატა რაინესის შეუძლოდ გახდომა, რა დროსაც მან დაიბარა სომეხი არქიელი და სომხურ გრიგორიანულ რჯულზე ეკურთხა. მისივე თქმით, ამისი ძირითადი მიზეზი ის იყო, რომ სურდა სიკვდილის შემთხვევაში დიდი პატივით დამარხულიყო სომხური წესით. ეს ასე არ მოხდა, რადგან მოგზაური მალე გამოჯანმრთელდა და კვლავ უარყო სომხური რჯული, რისთვისაც წყრომაც დაიმსახურა სომხური სასულიერო პირების მხრიდან. მოგზაურის ამ ქმედებიდანაც გამოჩნდა თუ რაოდენ პატივმოყვარე იყო იგი.

ყველაფერმა ამან გაამწვავა ერეკლესა და რაინესს შორის ურთიერთობა და ეს უკანასკნელი იძულებული გახდა რუსეთში წასულიყო ქართულ სამეფო კარზე სამწლიანი ყოფნის შემდეგ. 1781 წლის 4 აგვისტოს რაინესი ჩავიდა სასაზღვრო სიმაგრე მოზდოკში, მიუხედავად იმისა, რომ მას ჰქონდა გამოტანებული საბუთი, რომ საქართველოში ჭირი არ მძვინვარებდა, იგი მაინც მოათავსეს კარანტინში.¹

¹ იაკობ რაინესი, მოგზაურობა საქართველოში, თბ., 2002, გვ. 13.

კავკასიის ხაზის უფროსმა გენერალმა ფაბრიციანმა¹ კი იგი პეტერბურში წარუდგინა გრიგოლ პოტიომკინს, რომელმაც რაინეგს მისცა დავალება მაქსიმალური ძალისხმევა გამოეჩინა და ერეკლე განეწყო ისე, რომ მფარველობა ეთხოვა რუსეთისათვის, რასაც ეკატერინე მეორე და მთლიანად რუსეთის ხელისუფლება ძალზე ესწრაფოდა. რაინეგმა მასზე დაკისრებული მისიის შესრულებას სრული სერიოზულობით მოჰკიდა ხელი და მნიშვნელოვანი როლი ითამაშა შემდგომ განვითარებულ მოვლენებში, რაც საბოლოოდ რუსეთ-საქართველოს შორის გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმებით დასრულდა.

აი, რას წერს საქართველოში ჩამოსული რაინეგსი გ. პოტიომკინს: „მთელი იბერია (იმერეთი), სოლომონი ერთგულები არიან იმპერატორისა და პრინცის, ხოლო გეორგიას (ქართლი) ისეთ მდგომარეობაში ჩავაყენებ, როგორსაც თქვენ მოისურვებთ. აზიელი ადამიანი საერთოდ ძალზედ ჭკვიანია, სწორედ ამან გამირთულა ძალზე მრავალი საქმე, რათა გამემართლებინა ჩემი ამ ქვეყანაში ჩამოსვლის ორაზროვანი მიზეზი“.² ამ ნაწყვეტიდან კარგად ჩანს რაინეგის საქართველოში ხელმეორედ ჩამოსვლის განზრახვა. რა იგულისხმება მისი მიზნის ორაზროვნებაში? მას საქმე ისე უნდა მოეწყო, რომ ერეკლეს ეთხოვა მფარველობა რუსეთისათვის, თანაც ისე რომ საკუთარი ღირსება რაინეგს არ შელახვოდა.

რამდენად და როგორ შეძლო რაინეგსმა ამ დავალების შესრულება, ჩანს ერეკლე II-ის წერილიდან პოტიომკინისადმი, სადაც ნათქვამია, რომ მეფე თავის თავს შვილებსა და ხალხს ავედრებდა იმპერატორის მფარველობას. ის მიმართავს პოტიომკინს, რათა მან იმპერატორს წარუდგინოს ქართველი მეფის მიერ

¹ ფედორ ივანოვიჩ ფაბრიციანი - რუსი გენერალი, 1768-1774 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის გმირი.

² იაკობ რაინეგსი, მოგზაურობა საქართველოში, თბ., 2002, გვ. 16.

გაგზავნილი ორი თხოვნა „სათხოვარის პუნქტებით, რომლებიც უკვე ცნობილია პოლკოვნიკ რაინეგსისათვის“.¹

1782 წელს თბილისიდან რაინეგსი სომხეთში მიემგზავრება კონკრეტული სადაზვერვო ხასიათის მისიით და უკვე მომდევნო წლის იანვარში, თბილისში დაბრუნების შემდეგ, პოტიომკინის სახელზე წერს მოხსენებით ბარათს. ბარათში იგი „ნათელ ფერებში ხატავდა რუსეთის მმართველობის შესაძლო დამყარებას ამიერკავკასიაში“. რაინეგსი იმყოფებოდა პოტიომკინთან ტრაქტატის გაფორმების დღეებშიც,² როგორც კავკასიურ პოლიტიკაში კარგად გარკვეული და თანაც ქართულ ენის მცოდნე პიროვნება.

ამ ყველაფრის შემდგომ რაინეგსი სამშობლოში აღარ დაბრუნებულა. იგი დარჩა რუსეთში და გარკვეული ხნის განმავლობაში ექიმად მუშაობდა. საქართველოდან წასვლის შემდეგ მას მიმოწერა არ შეუწყვეტია საქართველოს სამეფო კარის წარმომადგენლებთან.

კავკასიაში ყოფნის დროს იაკობ რაინეგსი შეეჩვია ოპიუმის მოხმარებას, რაც საბოლოოდ გახდა კიდევ მისი გარდაცვალების მიზეზი. იგი 1793 წელს, 49 წლის ასაკში ისე გარდაიცვალა, რომ მემკვიდრე არ დარჩენია.

რაინეგსის მოგზაურობის დროინდელი ხელნაწერების ნაწილი დაიკარგა, ხოლო მეორე ნაწილი, რომლის გადარჩენაც მოხერხდა, სანქტ-პეტერბურგში გერმანულ ენაზე გამოიცა ორ წიგნად, სახელწოდებით: „კავკასიის საყოველთაო ისტორიულ ტოპოგრაფიული აღწერა“. გამოცემის პირველი ნაწილი შეიცავს

¹ იაკობ რაინეგსი, მოგზაურობა საქართველოში, თბ., 2002, გვ. 18.

² რ. სურმანიძე, ტრაქტატის თანაავტორი, თბ., 1983, გვ. 53.

ინფორმაციას ჩრდილოეთ კავკასიის, დაღესტნისა და ამიერკავკასიის სახანოების შესახებ, ხოლო მეორე ნაწილი მთლიანად საქართველოს მრავალმხრივ აღწერას ეთმობა.

1.1. იაკობ რაინეგსი XVIII საუკუნის ქართლში არსებული

სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ

რაინეგსი საკუთარ ჩანაწერებში ქართლს მოიხსენიებს გეორგიის სახელწოდებით, ხოლო იმერეთს იბერიას უწოდებს. მან აგრეთვე იცის სტრაბონისეული იბერიაც, რასაც მოწმობს მისი შედარებები XVIII საუკუნის 70-80-იანი წლების ქართლის მდგომარეობისა სტრაბონის მიერ აღწერილთან, რის საფუძველზეც ასკვნის: ამ ადგილების მდგომარეობას არაფერი არ აქვს საერთო მის უწინდელ მდგომარეობასთან, როდესაც აქ არაერთი ქვის სახლი თუ საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა არსებობდა. უწინდელისაგან განსხვავებით, მრავალმა არეულობამ და მტერთა მძლავრმა შემოსევებმა იქამდე მიიყვანა ქართლი რომ, რაინეგსის თქმით, მისი მცირე ნაწილიდა თუ იყო დასახლებული და მცხოვრებთა რაოდენობა ოთხი ათას ოჯახსდა მოითვლიდა.

მოგზაური ქვეყნის დაუძღურების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად მომხდურთა შემოსევების გარდა, ადგილობრივთა შორის შინა არეულობასა და მუდმივ შფოთს მიიჩნევდა. ქვეყნის მოსახლეობის ერთმა ნაწილმა, რომელთაც ეკონომიკური შეძლება სხვაზე მეტი გააჩნდათ, „დაირქვეს ერისთავები“ და ერთმანეთში გააჩაღეს ბრძოლა ლეკთა დაქირავებული რაზმების დახმარებით. ამ ბრძოლის დროს კი ლეკებმა ქვეყანაში არსებული მდგომარეობა, მისი სიძაბუნე გამოიყენეს და დაიწყეს ხალხის მოტაცება, რამაც მოსახლეობისგან თითქმის სრულიად დაცალა ქვეყანა.

რაინეგსი სწორად ასახავდა ქართლში არსებულ მდგომარეობას და ობიექტურად აფასებდა მას, რაც უფრო ნათლად წარმოჩნდება თუ მკვლევარ ისტორიკოსთა შეხედულებასაც გავეცნობით აღნიშნული მოვლენების შესახებ. მაგალითად, აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი აღნიშნავს: „შანშე ლეკებით საამილახვროს აწიოკებდა, ამილახორი ყიზილბაშებით ქსნის ხეობის გლეხებს სპობდა და ორივენი კი ქართლის გაოხრებას ჩიოდნენო“.¹ სწორედ თავადთა შორის მუდმივი მტრობა, რომელსაც თან ერთვოდა ლეკთა ხშირი შემოსევები, მიიჩნია რაინეგსმა უწინ აყვავებული ქართლის გაპარტახების მთავარ მიზეზად. ქართლის გაღარიბებული მოსახლეობა ქვის შენობების ნაცვლად ახლა უკვე მიწურებში ცხოვრობდა, თუმცა საკუთარი ბატონისა თუ ლეკებისაგან მოსვენებას იქაც ვერ ჰპოვებდა.

ქართლის მდგომარეობა და მისი ჭირ-ვარამი უფრო ადრე ვახუშტი ბატონიშვილმა აღწერა. მისი სიტყვით: „არამედ შურითა ურთიერთათა ქართველთათა იყო უფრო სენი ჭირნი და ართმიან და მარცვიდიან ოსმალნი შესმენითა მათითა კუალად ოხრებითა და ტყუევობითა ლეკთაო“.² ქართველი გეოგრაფისა და ისტორიკოსის ვახუშტის თხზულება ხუთი-ექვსი ათწლეულით მაინც უსწრებს გერმანელი ექიმისა და მოგზაურის იაკობ რაინეგსის დაკვირვებას. მიუხედავად ამისა, ორივე ავტორის შეფასება რამდენადმე იდენტურია, რაც თითქმის მთელი XVIII საუკუნის განმავლობაში ქართლის მძიმე სოციალურ ყოფას ცხადყოფს. ევროპელი მოგზაური კარგად ამჩნევს და მიუთითებს, რომ ქვეყნის ხელახალი აღმშენებლობა და მისი ადმინისტრაციულად მოწყობა მთლიანად ერეკლე მეფის დაუღალავი შრომის შედეგად ხდებოდა. სწორედ ამან

¹ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, თბ., 1965, გვ. 171.

² ბატონიშვილი ვახუშტი აღწერა სამეფოსა საქართველოსა გვ. 510.

მოიტანა ის, რომ „ამ მშენებლობის დროს იწყეს უკაცურმა ადგილებმა აყვავება და დასახლება“.¹

თავი II

ჟაკ ფრანსუა გამბა

ჟაკ ფრანსუა გამბა (1763-1833) ფრანგი დიპლომატი, მოგზაური და ვაჭარი იყო. 1820-1824 წლებში ასრულებდა თბილისში საფრანგეთის კონსულის მოვალეობას. ვიდრე საქართველოში დიპლომატიური მისიით გამოგზავნიდნენ, გამბამ საფრანგეთის მთავრობას წარუდგინა საკუთარი პროექტი ინდოეთთან ვაჭრობის განვითარების შესახებ, რისთვისაც უნდა გამოეყენებინათ კავკასიაზე გამავალი სავაჭრო-სატრანზიტო გზები. აღნიშნულმა პროექტმა მოწონება დაიმსახურა საფრანგეთის მმართველ წრეებში და მინისტრ რიშელიეს დავალებით, გამბამ 1817-1818 წლებში იმოგზაურა სამხრეთ რუსეთში, რათა უკეთ შეესწავლა იქ არსებული სიტუაცია. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ გამბამ პარიზში მოხსენება გააკეთა თავისი მოგზაურობის შესახებ.

მინისტრი რიშელიე² კარგად აცნობიერებდა აღმოსავლეთის ქვეყნებთან ვაჭრობისათვის საქართველოზე გამავალი სავაჭრო-სატრანზიტო გზების გამოყენების პერსპექტივას. საქართველოში არსებული სიტუაციის შესასწავლად,

¹ იაკობ რაინეგსი, მოგზაურობა საქართველოში, თბ., 2002, გვ. 147.

² არმან ემანუელ დიუ პლესი რიშელიე (1766-1822) - ჰერცოგი, ფრანგი არისტოკრატი, სახელმწიფო მოღვაწე, ბურბონების პრემიერ-მინისტრი. რევოლუციის შემდეგ გაძევებულ იქნა საფრანგეთიდან და ჩავიდა რუსეთში (1790 წ.)

რიშელიეს ბრძანებით, გამბა მივლინებულ იქნა საქართველოში, სადაც ის იმყოფებოდა 1819-1824 წლებში. კავკასიის რუსულმა ადმინისტრაციამ მას იმერეთში, აჯამეთთან გამოუყო 16 ათასი დესეტინა¹ სახნავი მიწა და ტყე მეურნეობის მოსაწყობად.

1821 წლის 8 ოქტომბერს ამიერკავკასიაში დაწესდა შეღავათიანი ვაჭრობა და ტრანზიტი, რომლის მიხედვით, უცხოეთიდან შემოტანილი საქონელი დაიბეგრებოდა 5%-ით მათი ღირებულების შესაბამისად. ამას ბიძგი უნდა მიეცა ვაჭრობის უფრო აქტიურად განვითარებისთვის, თუმცა გამბას მიერ დასახელებული „რედუტ ყალე“,² სადაც საზღვაო გზით საქონელს ჩამოიტანდნენ, საკმაოდ დაშორებული იყო დედაქალაქისგან. ეს გარემოება სახმელეთო გადაზიდვის ხარჯებს ზრდიდა, რის გამოც ევროპელი ვაჭრები კომერციული საქმიანობის წარმოებას კვლავ კონსტანტინოპოლის, ოდესისა თუ სმირნის სავაჭრო ცენტრებში ამჯობინებდნენ.

შემდგომში ირანსა და ოსმალეთს შორის მიმდინარე ბრძოლებმა³ უფრო გაართულა თბილისში კომერციული საქმიანობის განვითარება და ბოლო მოუღო სავაჭრო-სატრანზიტო გადაზიდვებს საქართველოს გავლით. ირანელი ვაჭრები მცირე აზიაზე გავლით ამჯობინებდნენ კონსტანტინოპოლთან ვაჭრობას.

1831 წელს რუსეთის საიმპერიო ხელისუფლებამ ამიერკავკასიაში გააუქმა შეღავათიანი ვაჭრობა, რამაც საქართველო არსებითად გამოთიშა საერთაშორისო

¹ დესეტინა - ძველებური მიწის საზომი ერთეული რუსეთში; უდრის 2400 კვადრატულ საჟენს (1, 09 ჰექტარს); იხმარებოდა მეტრული სისტემის შემოღებამდე.

² რედუტ-ყალე - ნავსადგური დასავლეთ საქართველოში შავი ზღვის სანაპიროზე. მდებარეობდა მდ. ხობისწყლის შესართავთან, ღვეანდელი სოფელ ყულევის მიდამოებში.

³ Асланов, Ровшан Бахтияр оглы, Ирано-турецкие отношения в 20-60-х годах XIX в. Диссертация на соискание степени кандидата исторических наук, Баку, 1983.
https://freereferats.ru/product_info.php?products_id=37750

სავაჭრო სისტემიდან, რაც უარყოფითად აისახა ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

2.1. ჟაკ ფრანსუა გამბა ქალაქ გორში ვაჭრობის განვითარების შესახებ

ჟაკ ფრანსუა გამბა ქალაქ გორს 1820 წლის 13 აგვისტოს ეწვია, როდესაც იმერეთისაკენ მიემგზავრებოდა. ფრანგი მოგზაური გორის დასახელებას აკავშირებს სტრაბონის მიერ მოხსენიებულ „გორსენასთან“ და ამბობს, რომ ეს სწორედ ის ქალაქია, რომელიც პატარა მდინარეზე მდებარეობს, ხოლო ქალაქიდან საკმაოდ მოშორებით ერთ ვერსზე უერთდება მდინარე მტკვარს.

გამბა ასევე მიუთითებს ქალაქის ცენტრში მდებარე ციხეზე, რომელსაც პარალელოგრამს ამსგავსებს, ციხის ცენტრში კი ეკლესიის არსებობას ადასტურებს, რომლის მშენებლობას თამარ დედოფალს მიაწერენ. მოგვიანებით ავტორი თავადაც აღნიშნავს, რომ „სწორედ თამარ მეფეს მიაწერენ თითქმის ყველაფერს, რაც კი ოდნავ მაინც ღირსშესანიშნავია საქართველოში“.

გორში ვაჭრობა და აღებ-მიცემობა საკმაოდ განვითარებული ყოფილა, თუმცა არა ფართე პროფილური, გამომდინარე იქიდან, რომ სავაჭრო საქონლის მრავალფეროვნებით ქართლი ვერ გამოირჩეოდა. ძირითად სავაჭრო პროდუქციას აქ თაფლი, ცვილი, აბრეშუმი და საქონლის, კერძოდ კამეჩის ტყავი წარმოადგენდა, რომელიც დიდი გამძლეობით გამოირჩეოდა 6-7 ვერცხლის მანეთი ღირდა.

განსაკუთრებით აქტიურობით სავაჭრო საქმეში გამოირჩეოდა ქალაქის სომეხი მოსახლეობის ნაწილი, რომლებიც სავაჭროდ ისპაჰანში და ირანის შორეულ პროვინციებშიც კი დადიოდნენ, სადაც რუსების რიდით, მათ დიდი პატივით ეპყრობოდნენ. ირანული პროდუქციის ფასზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა ის მრავალი საბაჟო გადასახადი, რომელიც ირანის ცალკეული პროვინციის მმართველებს ჰქონდათ დაწესებული საკუთარ ტერიტორიაზე პროდუქციის გადატანის სანაცვლოდ. სომეხი ვაჭარი, რომელთანაც გამბამ დაიდო ბინა ქალაქში სტუმრობისას, იმედოვნებდა, რომ რუსები მოახერხებდნენ და ირანის შაჰს დაითანხმებდნენ საბაჟო გადასახადის შემცირებაზე, რაც თავის მხრივ გამოიწვევდა სპარსთის სავაჭრო ინტერესების გამძაფრებას და ვაჭრობაც მათთვის უფრო რენტაბელური გახდებოდა. ცნობილია რო ბამბისა და აბრეშუმის მნიშვნელოვან ნაწილს გორელი ვაჭრები სწორედ ირანიდან მაღალი ბაჟით ეზიდებოდნენ, რის გამოც და მათ უმნიშვნელო მოგება რჩებოდათ.

ვაჭრობის განვითარების მხრივ გორი მხოლოდ კავკასიის ცენტრს - თბილისს ჩამორჩებოდა, რაც ქალაქის ცხოვრებაში ვაჭრობის აქტიურ როლზე მიუთითებს. გორი იმ დროს დაახლოებით ექვსას საცხოვრებელ სახლსა და ოთხი ათასამდე მცხოვრებს მოითვლიდა აქ ჩაყენებული რუსული გარნიზონების გამოკლებით. ქალაქში იდგა რვა ეკლესია, რომელთაგან ყველაზე დიდი იყო იტალიელი კაპუცინების კათოლიკური ტაძარი. მისი მშენებლობა 1819 წელს დასრულებულა და აგების ხარჯები მდიდარ სომეხ ვაჭრებს გაუღიათ. სწორედ კაპუცინების მონასტრის ბერ მარიუსს ეწვია ბერნარ ეჟენ ანტუან როტიე ათი წლის წინ, სანამ ქალაქ გორს დატოვებდა, თუმცა მაშინ ეკლესიის მშენებლობაზე მას არანაირი ინფორმაცია არ დაუტოვებია.

ეკლესიის კათოლიკე მრევლი მართალია ორ ასეულს არ აღემატებოდა, თუმცა როგორც გამბა გადმოგვცემს, ეკლესია საკმაოდ მასშტაბურ ნაგებობას წარმოადგენდა და ბევრად მეტი ადამიანის დატევა შეეძლო. ეკლესიის მსახური კაპუცინები, რომელთაც ბინა ქალაქ გორში დაედოთ, საკმაო პატივისცემით სარგებლობდნენ ადგილობრივი მოსახლეობისა თუ ჩამოსული სტუმრების მხრიდან.

მიხეილ თამარაშვილის თანახმად, 1628 წლის 1 ივნისს ქ. გორში მოსულან კათოლიკე ავგუსტინელები, რომელთაც მეფე თეიმურაზისთვის ჩამოუტანიათ ირანში ნაწამები ქეთევან დედოფლის ნეშთის ნაწილები. მეფემ ისინი დიდი პატივით მიიღო და მათი თხოვნის შესაბამისად, რამდენიმე სოფელი და მიწა უბოძა გორში, სადაც შემდგომში მათ კათოლიკური ეკლესია ააშენეს.

ავგუსტინელმა ბერებმა ხელი მიჰყვეს სნეულთა მკურნალობას და მალე სახელი ისე გაითქვეს, რომ სამკურნალოდ მათთან საკმაოდ შორიდანაც კი მოდიოდნენ. მათ ასევე განკურნეს სნეული დედოფალი დარეჯანი. ამ ყველაფერმა გამოიწვია მისიონერებისადმი ადგილობრივი მოსახლეობის დიდი პატივისცემა და თანადგომა, რაც შემდგომში ეკლესიის მშენებლობაში გაწეულ დახმარებაში გამოიხატა.

2.2. ადგილობრივი მიწათმფლობელობის წესი, ურთიერთობა

გლეხსა და ფეოდალს შორის

გორის შემოგარენი გამოირჩეოდა კარგი და ნაყოფიერი მიწების არსებობით, რომლის ნაწილი იჯარის წესით ურიგდებოდა ადგილობრივ მოსახლეობას და ევალებოდათ იჯარის ნატურით ან ნაღდი ფულით გადახდა. ადგილმდებარეობისა და ნაყოფიერების შესაბამისად მიწის ფასი ძალზე განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან: ქალაქთან სიახლოვის თვალსაზრისით, ერთი არპანი¹ მიწის ღირებულება ორიდან ას მანეთამდეც კი მერყეობდა.

გამომდინარე იქიდან, რომ ხშირად ქვეყანაში მტრის შემოსევების გამო მოსავალი მთლიანად ნადგურდებოდა, იჯარის გადახდა გლეხისათვის ნატურთ უფრო მიღებული იყო, ვიდრე ნაღდი ფულით. ნატურის შეცვლამ ნაღდი ფულით გამოიწვია დაბეგვრის გადასახადის შემცირება, მოსავლის არასაიმედოობის გამო. ამ დასაბეგრ თანხას, რომელიც შეადგენდა ექვს-შვიდ თუმანს ას არპან მიწაზე, თან ერთვოდა ფეოდალური სამსახურის ვალდებულებაც, რაც გლეხს მოვალეს ხდიდა ბატონის წინაშე რომ საკარმიდამო მიწიდან მიღებული მოსავლის ნაწილი მისთვის გაეყო.

გლეხს ასევე ეკისრებოდა ვალდებულება, ბატონისათვის მიერთმია ძღვენი, როდესაც შვილი შეეძინებოდა, ხოლო ბატონის გარდაცვალების შემდეგ გლეხს

¹ არპანი - ძველებური მიწის საზომი ერთეული.

იგივ ვალდებულება ჰქონდა მისი შვილის მიმართაც. თუკი გლეხი ისე გარდაიცვლებოდა, რომ მემკვიდრეს არ დატოვებდა, მის ძმებსა და ძმისწულებს მიწის საიჯარო მფლობელობაში მიღება მხოლოდ მაშინ შეეძლოთ, თუკი საიჯარო გადასახადის გაზრდაზე თანხმობას განაცხადებდნენ. მიწის მიღებას მემკვიდრეობითი სამართალი კი არ ითვალისწინებდა, არამედ ეს იყო წყალობა ოჯახისადმი. შესაბამისად, ბატონს ჰქონდა მიწის განკარგვის სრული უფლება: მას შეეძლო გაეყიდა ან იჯარით გაეცა იგი, ხოლო გლეხს თავისი საკუთრების არც გაყიდვა და არც გასხვისება არ შეეძლო. ბატონის უფლებაში შედიოდა ასევე გლეხის გამოყენება უსასყიდლო მუშახელად. კალოობის დროს მას შეეძლო ორი ან სამი დღე ემუშავებინა გლეხი თავის მეურნეობაში.

გამბა საქართველოში ფეოდალიზმის ასეთ ფართო გავრცელებას აკავშირებს ქვეყნის მაშინდელ მდგომარეობასთან, რომელიც განუწყვეტელ შემოსევებს განიცდიდა მეზობელი ქვეყნების მხრიდან. საქართველოს მოსახლეობის ის ნაწილს, რომელსაც საკუთარი ძალებით თავის დაცვა არ შეეძლო, იძულებული ხდებოდა დაცვა ეთხოვა უფრო ძლიერი მეზობლისათვის, სანაცვლოდ კი გარკვეული გადასახადი გაეღო, რაც ხშირად ფეოდალის მამულში ნებაყოფლობით მუშობასაც გულისხმობდა.

გამბას გორში ყოფნის დროს წვიმიანი დღეები შეემთხვა, მიუხედავად იმისა რომ თბილისში, საიდანაც ის წამოვიდა, აგვისტოს ცხელი დღეები იდგა. სამგზავრო გზების არასახარბიელო მდგომარეობის მიუხედავად, გამბამ 15 აგვისტოს მაინც დატოვა ქალაქი და სურამის მიმართულებით გაემგზავრა. გზად მრავლად შეხვდა ფეოდალურ კოშკთა ნანგრევები, რომლებიც მტრის შემოსევების შედეგად ერთიანად განადგურებულან. ფრანგი მოგზაურის თანახმად, გადარჩენილი სოფლებიდან მოსახლეობის რაოდენობით გამოირჩეოდა სოფელი

რუსი, რომლის გარშემო ნაყოფიერი მიწები თითქმის სრულიად იყო დამუშავებული. აქ მოსავლის მოყვანას ხელს უწყობდა სოფელთან ჩამომავალი მდინარეც. სოფელ რუსში მდებარეობდა ეკლესია, რომელიც გამბას აზრით, შუა საუკუნეებში უნდა ყოფილიყო აგებული.

გორსა და სურამს შორის მდებარეობდა კახაკთა საგუმაგო პუნქტი, მას „გარგარები“ ეწოდებოდა იმ სოფლის სახელის მიხედვით, რომლის სიახლოვესაც იგი იყო მოწყობილი. პუნქტი მდებარეობდა ჭაობიან ადგილების სიახლოვეს, რაც ჯარისკაცების ციებით მუდმივი ავადობის მიზეზი იყო.

თავი III

იოჰან ანტონ გიულდენშტედტი

იოჰან ანტონ გულდენშტადტი (1745-1781) გერმანელი ბუნებისმეტყველი, ნატურალისტი, მედიცინის დოქტორი და რუსეის მეცნიერებათა აკადემიის წევრი იყო. გულდენშტედტმა მშობლები ადრეულ ასაკში დაკარგა და 1763 წლიდან მოყოლებული ბერლინში შეისწავლა სააფთიაქო საქმე და ბოტანიკა. 1767 წელს, 22 წლის, ასაკში მან ფრანკფურტის უნივერსიტეტში მედიცინის დოქტორის წოდება მიიღო. მომდევნო წელს გიულდენშტედტი შეუერთდა პეტერბურგის საიმპერატორო აკადემიის ექსპედიციას, რომელიც გაიგზავნა ეკატერინე II- ის მიერ რუსეთის იმპერიის სამხრეთ-აღმოსავლეთი ოლქების, ციმბირისა და კავკასიის შესასწავლად.

გიულდენშტედტს თავდაპირველი გეგმით უნდა ემგზავრა ჩრდილოეთ კავკასიასა და ასტრახანის გუბერნიაში, თუმცა გმელინის¹ მოთხოვნით პროგრამა გაუფართოვეს. ამის შემდეგ გიულდენშტედტის მოგზაურობის მარშრუტად ჩრდილოეთ კავკასია და საქართველო განისაზღვრა. 1770 წლის იანვრიდან 1771 წლის აგვისტომდე მან მოიარა ჩრდილოეთ კავკასია და სექტემბერში საქართველოში ჩამოვიდა, სადაც დაჰყო 1772 წლის ოქტომბრამდე.

¹ სამუელ გოტლიბ გმელინი - პეტერბურგის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის წევრი. 1768-1774 წლებში აკადემიის დავალებით გმელინმა იოჰან გიულდენშტედტთან ერთად შეისწავლა ვოლგისა და დონის სათავეები, კავკასია (მათ შორის საქართველო), კასპიის ზღვის ნაპირები.

იოჰან გიულდენშტედტმა მოიარა მთელი ქართლი, კახეთი, იმერეთი, რაჭა, იყო გურია-სამეგრელოს საზღვრებზე; შეხვდა ერეკლე II-სა და სოლომონ I-ს. 1772 წლის ნოემბრიდან 1773 წლის ივლისამდე იოჰან გიულდენშტედტი კვლავ ჩრდილოეთ კავკასიაშია, ხოლო 1775 წლის მარტში იგი უკან - პეტერბურგში დაბრუნდა.

ექსპედიციის შედეგები და გულდენშტედტის რედაქტირებული ექსპედიციის ჟურნალი სახელწოდებით „Reisen durch Russland und im Caucasischen Gebürge“ (მოგზაურობა რუსეთში და კავკასიონის მთები) (1787–1791).“ გამოაქვეყნა პიტერ სიმონ პალასიმ¹ მოგზაურის გარდაცვალების შემდეგ.

ხსენებულმა ექსპედიციამ დიდი წვლილი შეიტანა ბიოლოგიის, გეოლოგიის, გეოგრაფიისა და განსაკუთრებით ენათმეცნიერების სფეროებში.

გიულდენშტედტის ექსპედიცია იყო პირველი, რომელმაც კავკასია ფართო მასშტაბით შეისწავლა. მას დაევალა შესასწავლილი რეგიონის პრაქტიკულად ყველა ასპექტზე დაკვირვება და მათი აღწერა. ამაში შედიოდა როგორც მისი ბუნებრივი მრავალფეროვნებანი - ფლორა, ფაუნა, გეოგრაფია და გეოლოგია - ასევე ადგილობრივი ხალხები, ეკონომიკა და სახელმწიფო მართვის სისტემა. ამ გაგებით, ეს იყო როგორც სამეცნიერო ექსპედიცია, ასევე მხარის სამხედრო-დაზვერვითი შემსწავლელი მისია, რომ უფრო მეტი გაეგოთ რეგიონს შესახებ, რომელსაც მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინა რუსეთ-ოსმალეთს შორის მოსალოდნელ დაპირისპირებაში, სადაც კავკასია წარმოდგენილი იქნებოდა,

¹ პიტერ სიმონ პალასი - პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ხელმძღვანელობდა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის ექსპედიციას რუსეთის ცენტრალურ რაიონებში, ხოლო 1793-1794 წლებში ვოლგისპირეთში, ყირიმსა და ჩრდილოეთ კავკასიაში.

როგორც ამ ბრძოლების მთავარი სცენა, - ბრძოლის თეატრი, რომელშიც ქართველები იმოქმედებდნენ როგორც რუსეთის მოკავშირეები.

გულდენშტედის ექსპედიციის შემდეგ დაუყოვნებლივ გაიზარდა რუსეთის ინტერესი რეგიონისადმი, განსაკუთრებით საქართველოს მიმართ. მალე გაფორმდა გეორგიევსკის ხელშეკრულებაც, რამაც აღმოსავლეთ საქართველო რუსეთის პროტექტორატად აქცია.

3.1. შიდა ქართლის ბუნებრივ-გეოგრაფიული ლოკალიზაცია

საქართველოს სხვა კუთხეებთან ერთად, გიულდენშტედტი საკმაო ცნობებს გვაძლევს შიდა ქართლის ლოკალიზაციის შესახებ. იგი აღნიშნავს, რომ ეს არის ქართლის¹ ცენტრალური ნაწილი და ხშირად პირდაპირ, უშუალოდ მხარის სახელით მოიხსენიებენ, განსაზღვრების გარეშე: „ის როგორც კახეთი, მდებარეობს ჩრდილოეთით კავკასიის ალპურ ქედსა, ოსების მეზობლად და სამხრეთით მტკვარს შორის, რომლის მარჯვენა მხარეზე ზემო და ნაწილობრივ ქვემო ქართლი მდებარეობენ. აღმოსავლეთით არის კახეთი, ხოლო დასავლეთით გამკვეთი ქედი², რომელიც კავკასიის მთავარ ქედს აერთებს მის სამხრეთ მთისწინეთთან და რომლის მეორე მხარეს იმერეთი მდებარეობს“.³

გიულდენშტედტი მნიშვნელოვან მსგავსებას ხედავს კახეთისა (სადაც მანამდე უკვე იმყოფებოდა) და ქართლის კლიმატსა თუ სამეურნეო რესურსს შორის, თუმცა მნიშვნელოვანი განსხვავებასაც გამოჰყოფს სახლების არქიტექტურაში. ქართლის მოსახლეობა, კახეთისაგან განსხვავებით, ნახევრად მიწურ სახლებში ცხოვრობს. ქართლის დიდი ქალაქები - გორი, ცხინვალი, სურამი ისევე უჩივიან მოსახლეობის სიმცირეს და განადგურებულ ადგილთა სიმრავლეს როგორც კახეთის ქალაქები

¹ ისტორიული ქართლი გეოგრაფიული მდებარეობისა და უმთავრესი მდინარის - მტკვრის დინების მიხედვით, სამ ნაწილად იყო გაყოფილი: შიდა ქართლი, ზემო ქართლი და ქვემო ქართლი. სწორედ ასეთი მიმდევრობით აღგვიწერს ამ მხარეს გიულდენშტედტიც.

² იგულისხმება ლიხის ქედი - კავკასიონისა და მცირე კავკასიონის მათაა სისტემების დამაკავშირებელი ქედი, რომელიც საქართველოს ყოფს აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებად და მდებარეობს ქართლ-იმერეთის საზღვარზე.

³ იოჰან გიულდენშტედტი, მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა. ტ. 1, თბ., 1962, გვ. 267.

ქართლის მოსახლეობა სამეურნეო საქმიანობაში აქტიურად იყენებს მაღალი მთებიდან მომავალ მდინარეებს, რომლებიც საკმაოდ მრავლად არის ამ მხარეში - მტკვარი და მისი შენაკადები, არაგვი, ქსანი, პატარა და დიდი ლიახვი, ლეხურა, სურამულა და მათი მცირე შენაერთები.

შიდა ქართლის პროვინციის ჩრდილოეთ მხარეში ოსების განსახლების შესახებ გვამცნობს გიულდენშტედტიც და ამბობს, რომ ოსთა ეს მცირერიცხოვანი დასახლებები, ისევე როგორც საქართველოს სხვა რაიონებში მოსახლე ოსები, ქართლის მეფის ქვეშემრდომები არიან, ასევე ჰყავთ მათ მიერ არჩეული უფროსი და სარგებლობენ ისეთივე უფლებებით, როგორც ეთნიკურად ქართული ეთნოსით დასახლებული მხარეები. აქედან ცხადად ჩანს, რომ ქართლის მეფე ოსთა მიმართ ყოველთვის მშვიდობიან დამოკიდებულებას არჩევდა, თუკი შვიდობის დარღვევას თავად ოსები არ მოინდომებდნენ, რომლის არაერთ მაგალითს ინახავს საქართველოს ისტორიის ფურცლები.

3.2. იოჰან გიულდენშტედტი შიდა ქართლში მცხოვრები ოსების შესახებ

იოჰან გიულდენშტედტი მიეკუთვნება იმ მოგზაურთა რიცხვს, რომლებმაც დაწვრილებითი ცნობები დაგვიტოვეს შიდა ქართლში ოსთა სამოსახლო არეალის შესახებ.

გიულდენშტედტს დაწვრილებით აქვს აღწერილი მდ. ქსნის სათავეში მდებარე ოსური დასახლებანი და ქსნის შენაკად ჭურთაზე არსებული ოსურ-ქართული სოფლები: „1.დელკანი 2.ნგოშე 3.ხამატატკან 4.ჩაგოლ 5.კუპპეკან 6.ჩიმეტიკან 7.ბაგინი 8.მიდაკუკან 9.გორგა 10.ძეგოიანი 11.თოგოიანი 12.მასიკეკან 13.ჯავათკარი 14.სიდა 15.კუცხოეთი 16.ველისი 17.მასიკციხე 18.საბარკლეთი 19.ქალაქა 20.სკატე 21.ჭურთა 22.ცქუნეთი 23.ჯანგანთკარი 24.კორა 25.ცალკაკი 26.შმორი 27.ქარელთკარი 28.ბულხავი 29.შატაკიანთკარი 30.ბეგოთკარი 31.ყველდაბა 32.ხნიბალი 33.მაბოეთი 34.იპეეთი 35.მოჭალეტი 36.დორეთკარი 37.ვაგაზი 38.ილურთკარი 39.ფუჭიანთკარი 40.მეწყერი“.¹

მოგზაური ასევე აღწერს მდინარეების: ლეხურის, დიდი და პატარა ლიახვის, მეჯუდის ხეობასა და მათ შენაკადებზე არსებულ დიდსა თუ მცირე ოსურ-ქართულ დასახლებებს. დასახლებებს მშვიდობიანი ურთიერთობები აქვთ ერთმანეთში, ამ სოფელთაგან ზოგი მეფეს, ზოგი კი ადგილობრივ ერისთავებს ემორჩილებიან.

¹ იოჰან გიულდენშტედტი, მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა. ტ. 1, თბ., 1962, გვ. 275.

კავკასიონის მთების კალთებზე ოსების ცხოვრების შესახებ მიუთითებს გერმანელი მეცნიერ-მოგზაური მორიც ვაგნერიც,¹ რომელმაც 1843-1846 წლებში მოიარა კავკასია, კერძოდ, შავი ზღვის ნაპირას მდებარე ქვეყნები, სომხეთი, ქურთისტანი და სპარსეთი. იგი აღნიშნავს: „ოსები, რომლებიც ცხოვრობენ კავკასიის უმაღლეს ალპურ ქედებზე, ქრისტიანები არიან. ისინი ტფილისში ჩვეულებრივ მოდიან, რათა ტვირთის გადაზიდვით და მძიმე დღიური სამუშაოთი გარკვეული რაოდენობის ფული იშოვონ... რათა დააგროვონ მცირე კაპიტალი და ... მთებში უკან დაბრუნდნენ”.²

თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის თანახმად, XVIII საუკუნის განმავლობაში ოსები შიდა ქართლის მთისწინეთში არ ცხოვრობდნენ. მათი აქ ჩასახლება XVIII ს-ის ბოლოსა და XIX ს-ის დასაწყისით თარიღდება. სწორედ ამ პერიოდში ოსები იკავებენ პატარა ლიახვის ხეობის მთისწინეთის მნიშვნელოვან სივრცეს. ძირითადად XIX ს-ის პირველ დეკადაში ხდება ოსთა განთესვა შიდა ქართლის მთიანეთიდან შიდა ქართლის მთისწინეთისა და ბარის სოფლებში.³

¹ მორიც ვაგნერი (1813-1887) - გერმანელი მეცნიერი, მოგზაური და მკვლევარი საქართველოში იმყოფებოდა XIX საუკუნის პირველ ნახევარში და მნიშვნელოვანი ცნობები დაგვიტოვა ჩვენი ქვეყნის შესახებ.

² ა. თოთაძე, ოსები საქართველოში მითი და რეალობა <http://www.gurcu.org/gurcistan-osetleri-soylentiler-ve-gercekler-anzor-totadze-icerigi-414.html>

³ რ. თოფჩიშვილი, საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბ., 1997; ლ. ჯანიაშვილი, ოსთა საქართველოში მიგრაცია ქართულსა და რუსულ (ოსურ) მეცნიერებაში.

<https://ijhei.wordpress.com/2014/03/04/%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98-%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%97/>

3.3. გიულდენშტედტი შიდა ქართლის გზების შესახებ

მოგზაურმა მოიარა თითქმის მთელი საქართველო, რა დროსაც დაწვრილებითი აღწერა და შეისწავლა ის გზები და სოფლები, რომლებზეც გავლა მოუხდა. როგორც ჩანს, გიულდენშტედტის მოგზაურობის პერიოდში შიდა ქართლში არსებული სამიმოსვლო გზები საკმაოდ კარგ მდგომარეობაში ყოფილა. ამაზე თუნდაც ისიც მიგვანიშნებს, რომ მოგზაური მისი შეფერხების ძირითად მიზეზად ასახელებს ქართლის მთავართა შორის არსებულ დაძაბულობას და ოსთა თარეშს გზებზე, რაც გადაადგილებას სახიფათოს ან შეუძლებელს ხდიდა და არა გზების ცუდ მდგომარეობას.

გზები ძირითადად მდინარეების ჭალებსა და ხეობებს მიუყვებოდა. ასე მაგალითად ქართლ-იმერეთის საზღვარზე მდებარე სურამიდან ქ. გორისაკენ და შემდგომში თბილისისაკენ გზა მდინარე მტკვრის დინებას მიისდევდა, გორიდან ლიახვზე გადებული ხიდის დახმარებით შესაძლებელი იყო თავისუფალი გადაადგილება მცირე და დიდი ლიახვის ხეობაში მდებარე სოფლების მიმართულებით. უფრო ზევით კი გზა მდინარე ქსანს მიუყვებოდა ქსნის ხეობის სოფლებისაკენ. ძირითადი გზა კი ცხინვალის მიმართულებით მიდიოდა, სადაც ცხენშებმული ეტლით გადაადგილება თავისუფლად იყო შესაძლებელი. როგორც ამას აიხვალდი გვიმოწმებს, გორიდან ცხინვალისაკენ მიმავალ მგზავრს მდინარე

ლიახვზე გადებულ ხიდზე უნდა გაევილო, „რომელიც ასი საჟენი¹ სიგრძისაა და რომლისთვისაც ორასი ფიცარია გამოყენებული, გზა იქით (ცხინვალისაკენ) მიემართება ვრცელ დაბლობზე, რომელზედაც ჩვენ ძალზედ მოხერხებულად მივემგზავრებოდით ეტლით.“²

შიდა ქართლში გზების ნორმალურ მდგომარეობაზე მეტყველებს ისიც, რომ იოჰან გიულდენშტედტი ლიახვის ხეობაში ერთი დასახლებული პუნქტიდან მეორემდე მისვლას მხოლოდ ერთ ან ორ საათს ანდომებდა. გზის გავლა ლარგვისიდან ახალგორამდე - დაახლოებით 21 კმ. მანძილი, ოთხ საათში იყო შესაძლებელი. მოგზაურის თანახმად, „მთელი გზა ახალგორიდან ლარგვისამდე მიემართება ჩრდილოეთით და არის ოთხი საათის სავალი ანუ ოცი ვერსი,“³ რაც მთიან ადგილებში საკმაოდ ნორმალურია. გიულდენშტედტი აღნიშნავს საქართველოს მთიან ადგილებში გზის განსაკუთრებულ სივიწროვეს, რაც ასეთ ადგილებში გადაადგილების პრობლემას მუდმივად ქმნიდა: „გზა მიდის კირქვიან კლდეებში, უმთავრესად ნავთობიან მიდამოზე და არის ისე ვიწრო, რომ ურემს ვერ დაიტევს“⁴.

ქართლის მთა და ბარი მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი ერთმანეთთან სამიმოსვლო გზებით, რომლებზეც ფეხით ან ცხენით მგზავრობა თავისუფლად იყო შესაძლებელი. ძირითად სირთულეს კი ლეკთა მოთარეშე რაზმები წარმოადგენდნენ, რომელთაც შეეძლოთ მგზავრი მთლიანად გაეძარცვათ, უარეს

¹ ძველებური რუსული სიგრძის საზომი ერთეული, უდრის 2 მეტრსა და 13 სმ-ს, აქტიურად გამოიყენებოდა მეტრული სისტემის შემოღებამდე.

² ედუარდ აიხველდი საქართველოს შესახებ, გერმანულიდან თარგმნა გ. გელაშვილმა, თბ., 2001. გვ. 229.

³ იოჰან გიულდენშტედტი, მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანიტურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა. ტ. 1, თბ., 1962, გვ. 97.

⁴ იოჰან გიულდენშტედტი, მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანიტურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა. ტ. 1, თბ., 1962, გვ. 97.

შემთხვევაში, მოეკლათ ან გაეტაცებინათ გამოსასყიდის მოთხოვნის მიზნით. სწორედ ამ გარემოების გამო, გიულდენშტედტს მთელი თავისი მოგზაურობის განმავლობაში მისთვის სპეციალურად გამოყოფილი მცველები დაჰყვებოდნენ.

ცალკე საკითხი იყო სათავადოების კუთვნილ მიწებზე გამავალ გზებზე გავლა, სადაც გადაადგილებისათვის თავადი ხშირად გარკვეულ გადასახადს აწესებდა. სათავადოთა შორის დაპირისპირების დროს გზებზე გავლა სახიფათო ან შეუძლებელი ხდებოდა, რაც გადაადგილებას და ვაჭრობას ძალზე უშლიდა ხელს.

მოწესრიგებული გზა უნდა ყოფილიყო აგრეთვე იმერეთიდან გორის მიმართულებით, მდინარე მტკვრის გასწვრივ, სურამიდან გორამდე, რომელზეც ცხენით მიმავალმა აიხვალდმა 28 კმ. მანძილის გავლა 2 საათსა და 30 წუთში შეძლო. თუმცა წვიმიანი ამინდები რომ გზაზე გადაადგილებას ძალიან ართულებდა, ფაქტია. ერთ-ერთ მგზავრობას სურამიდან სადგურ გარგარებამდე, სადაც კაზაკთა საგუშაგო პოსტი მდებარეობდა, მოგზაურმა დაახლოებით 35 კმ. მანძილის გავლას მოანდომა დრო სადამოს ოთხი საათიდან გვიან ღამემდე, რისი მიზეზიც წვიმიანი ამინდი იყო.

გორის სამხრეთით, იმ ადგილას, სადაც ლიახვი მტკვარს ერთვის, მდინარეზე გადაადგილებისათვის იყენებდნენ დაწნული თოკებით ერთმანეთზე მჭიდროდ გადაბმულ, გაბერილ ტიკებს - „ნავტიკებს.“¹ ნავტიკებით მტკვრის მარჯვენა ნაპირზე არსებული სოფლების მოსახლეობა, ასევე, თბილისისაკენ ან ქვემო ქართლში მიმავალი მგზავრები მტკვრის ერთი ნაპირიდან მეორეზე გადაჰყავდათ.

¹ ედუარდ აიხველდი საქართველოს შესახებ, გერმანულიდან თარგმნა გ. გელაშვილმა, თბ., 2001. გვ.245

სავარაუდოა რომ მტკვრის მარჯვენა სანაპიროსთან დამაკავშირებელი ხიდი იმ პერიოდში ჯერ არ არსებობდა, რაც თბილისთან კომუნიკაციას ძალზე გაართულებდა, ვინაიდან მასთან დამაკავშირებელი გზა მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მიუყვებოდა.

თავი IV

ბერნარ ეჟენ ანტუან როტიე

ანტვერპენში დაბადებული ფლანდრიელ-ნიდერლანდიელი ოფიცერი, შემდეგში რუსეთის არმიის პოლკოვნიკი და ბელგიის შეიარაღებული ძალების გენერალი ბერნარ ეჟენ ანტუან როტიე (1771-1858), ცნობილი მოგზაური და სიძველეთა კოლექციონერი იყო. 18 წლის ასაკში ის, როგორც კურსანტი, ავსტრიის სამსახურში შევიდა და მალე სერჟანტის წოდებაც მოიპოვა.

1795-1802 წლებში იგი ინგლისში მსახურობდა, საიდანაც სამშობლოში დაბრუნდა, რომელიც უკვე ოკუპრებული ჰქონდა საფრანგეთს. მეფე ლუი ნაპოლეონმა როტიე არმიის გენერალური შტაბის კაპიტნად დანიშნა. თუმცა, იმის გამო, რომ როტიე არ იზიარებდა ნაპოლეონის მიერ წარმოებულ პოლიტიკას, საფრანგეთის მთავარი შტაბის სამხედრო საინჟინრო სამსახურის მრავალი უცხოელი ოფიცრის მსგავსად, საფრანგეთის იმპერატორის ბრძანებით, იგი პარიზში, ტამპლის ციხეში ჩასვეს.

1808 წელს, ციხიდან განთავისუფლების შემდეგ, რადგან იგი ევროპის არც ერთ სახელმწიფოში არ მიიღეს სამხედრო სამსახურში, იძულებული გახდა თავის ოჯახთან ერთად „თავშესაფარი ჩრდილოეთის ამ უზარმაზარ იმპერიაში“, - რუსეთში მოექცენა.

1808-1818 წლებში როტიე რუსეთის ჯარში, კავკასიაში მსახურობდა, 1811 წელს კი მისივე თხოვნის საფუძველზე, საქართველოში, გენერალ დიმიტრი ორბელიანის დაქვემდებარებაში მყოფი მეოცე დივიზიის შტაბის უფროსად დანიშნეს. მოუწია სპარსელთა და ოსმალთა წინააღმდეგ ომებში მონაწილეობა.

1818 წელს, პოლკოვნიკი როტიე სამხედრო სამსახურიდან გადადგა და თბილისიდან ოსმალეთის, საბერძნეთის, იტალიის, საფრანგეთისა და ინგლისის გავლით ნიდერლანდებში დაბრუნდა. ამ მოგზაურობის შთაბეჭდილებანი მან 1829 წელს ცალკე წიგნად გამოაქვეყნა.

რუსეთში ყოფნისას როტიემ სიძველეების შეგროვება დაიწყო, ოსმალეთსა და საბერძნეთში მან თავისი კოლექცია კიდევ უფრო გაამდიდრა და სამშობლოში ჩასულმა იგი ნიდერლანდების მთავრობას მიყიდა. როტიეს კოლექციამ ბინა ლეიდენის ცნობილ სიძველეთა მუზეუმში დაიდო.

1820 წლიდან როტიეს კვლავ ნიდერლანდების არმიაში ვხედავთ. 1825 წელს პოლკოვნიკმა როტიემ აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში იმოგზაურა. სამოგზაურო თანხა და გემი ჰოლანდიის მთავრობამ გამოუყო. მოგზაურობამ წელიწადნახევარი გასტანა. საინტერესოა, რომ როტიემ ბერძნულ კუძულ მილოსზე, იქ სადაც მანამდე ვენერა მილოსელის ქანდაკება აღმოჩნდა, მცირე არქეოლოგიური გათხრებიც ჩაატარა. მოგზაური, პარალელურად, საფრანგეთის ხელისუფლების დავალებასაც ასრულებდა, გაეცნო ალჟირის სანაპიროსა და იქ არსებული სიმაგრეებს, რომელთა შესახებაც სათანადო ინფორმაციაც მოამზადა. უფრო მეტი დრო როტიემ კუნძულ როდოსზე დაჰყო, მოინახულა და აღწერა კულტურული მემკვიდრეობის მრავალი ადგილობრივი ძეგლი, შემდეგ თავისი ჩანაწერები გადაამუშავა და გამოსცა წიგნი, რომელიც თითქმის ბესტსელერად იქცა.

ექსპედიციის დროს შეძენილი სიძველეთა კოლექცია როტიემ ამჯერადაც ლეიდენის მუზეუმს მიჰყიდა, მაგრამ არტეფაქტების დაბალი ხარისხის გამო, მუზეუმის დირექცია უკმაყოფილო დარჩა და მასთან კონტაქტი გაწყვიტა. ეს

გასაკვირი არც უნდა იყოს, - მოგვიანებით ხომ თვითონ როტიე აღიარებდა, რომ ზოგჯერ ფალსიფიცირებულ ნივთებსაც ასაღებდა სიძველის მოყვარულ ადამიანებზე.

1830 წელს, როდესაც ბელგიის რევოლუციამ იფეთქა, როტიე ნიდერლანდების მეფის ვილჰელმ I-ის ერთგული რჩებოდა და მშობლიური ანტვერპენის დატოვებას არც ფიქრობდა. ბრძოლების დროს მისი სახლი არტილერიის ჭურვებმა დააზიანეს და როტიეს სიძველეთა კოლექციის ნაწილიც განადგურდა ან დაიკარგა. როდესაც ბელგიამ ნიდერლანდებისაგან თავისუფლება მოიპოვა და თავი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადა, როტიე ბრიუსელში გადავიდა, სადაც ასევე განაგრძო სამხედრო სამსახური და გენერლობამდეც მიაღწია. იგი 86 წლის ასაკში 1857 წელს გარდაიცვალა. დაკრძალეს სამხედრო პატივით.

პოლკოვნიკ როტიეს ნაწერებიდან ჩანს, რომ იგი მეტად განათლებული ადამიანი იყო და კარგად იცნობდა ძველი დროის ავტორების თხზულებებს. როტიე არ იყო მხოლოდ მოგზაური, რომელიც წუთიერი შთაბეჭდილებით ან შენიშვნებით კმაყოფილდება: იგი დაბეჭდვამდე საგულდაგულოდ ამუშავებდა შეკრებილ მასალას და მკითხველს დახვეწილ ტექსტს სთავაზობდა.

საქართველოში პოლკოვნიკ როტიეს მოგზაურობის მიზანი მისთვის ნაკლებად ცნობილი მხარის გაცნობა, ირან-ოსმალეთთან ომის წარმოების ხასიათის შესწავლა და საკუთარ ოჯახთან ერთად საქართველოს დასავლეთი ნაწილის, მცირე აზიისა და კონსტანტინოპოლზე გავლით სამშობლოში დაბრუნება იყო. თავის შთაბეჭდილებები როტიემ ასახა ნაშრომში „თბილისიდან კონსტანტინოპოლში მგზავრობის გზამკვლევი“, რომელშიც აღწერილია მოგზაურობის მარშრუტი: თბილისი, მცხეთა, მუხრანი, გორი, უფლისციხე,

სურამი, ქუთაისი, გელათი, მარანი, ფოთი, წმ. ნიკოლოზის ფორტი და ა. შ. წიგნი შეიცავს ცნობებს ლაზებზე, ნარკვევს ქართული ენის შესახებ, საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეთა მიმოხილვას და სხვ. დართული აქვს რამდენიმე რუკა და ტაბულა.¹

¹ ცნობები როტიეს ბიოგრაფიის შესახებ მოძიებულია ვებგვერდებზე:
<https://www.rmo.nl/museumkennis/geschiedenis-en-collectie/bernard-eugene-antoine-rottiers-1771-1857/>
https://books.google.ge/books?id=6QITAAAAYAAJ&printsec=frontcover&dq=inauthor:%22Bernard+Eug%C3%A8ne+Antoine+Rottiers%22&hl=en&sa=X&ved=2ahUKewjx2Znluf_qAhVho4sKHZBUBkQQ6AEwAXoECAAQA#v=onepage&q&f=false
<https://eng.travelogues.gr/collection.php?view=192>
https://nl.wikipedia.org/wiki/Bernard_Rottiers

4.1. ცნობები ქალაქ გორისა და უფლისციხის შესახებ

როტიე მნიშვნელოვან და საინტერესო ცნობებს გვაწვდის შიდა ქართლის, ქალაქ გორისა და უფლისციხის შესახებ, საუბრობს მათ მდებარეობაზე თუ იქ მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ, ეკონომიკურ მდგომარეობასა ყოფა-ცხოვრებაზე. ეს ყველაერი კი საშუალებას გვაძლევს გარკვეული წარმოდგენა შევიქმნათ იმ დროის შიდა ქართლში არსებული სინამდვილის შესახებ.

გორს როტიე ქართლის დედაქალაქად მოიხსენიებს. როდესაც პირველად ჩამოდის აქ, იგი ამბობს: „ჩვენი პატარა ქარავანი გორში, ქართლის დედაქალაქში, ჩავიდა“, რაც ამ ქალაქის მნიშვნელოვან როლზე მიუთითებს ქვეყნისა თუ მხარის როგორც კონომიკურ, ისე პოლტიკურ თუ კულტურულ ცხოვრებაში.

ქალაქ გორის მდებარეობის განსაზღვრისას, როტიე მას მდინარეების ფშავისა და ლიახვის შესართავთან მოიხსენიებს, რაც, რა თქმა უნდა, უზუსტობაა, ვინაიდან ჩვენთვის კარგადაა ცნობილი, რომ ქ.გორი მდინარე დიდი ლიახვისა და მეჯუდის შესართავთან მდებარეობს, ხოლო თავის მხრივ მდ. ფშავს ანუ ფშავის არაგვს, რომელიც კავკასიონის სამხრეთ დასავლეთ კალთაზე მოედინება და მცხეთასთან უერთდება მტკვარს, არავითარი კავშირი არ აქვს ქალაქ გორთან.

ჩვენი აზრით, როტიე მდინარე ფშავში უნდა გულისხმობდეს ფშანს,¹ რომელიც გამოედინებოდა მდ. მეჯუდიდან და სხვა ავტორებიც ახსენებენ გორის დახასიათებისას. მაგალითად, XX საუკუნის დასაწყისში სამეფო ქუჩის აღწერისას, ილია პაპისმედოვი აღნიშნავს, რომ ქუჩა „მუდმივ სუფთა და გაკრიალებული იყო.

¹ სულხან-საბას განმარტებით, „ფშანი არიან მდინარისაგან წყარო მუნვე ახლო გამოდევნილნი“, იხ: სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, II, ავტოგრაფიული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, თბ., 1993, გვ. 267.

ორივე მხარეს გაყვანილ მოცემენტებულ რუებში მოჩხრიალებდა მდინარე ფშანის ტოტიდან გადმოშვებული წყალი.¹

შემდგომში ავტორი დასძენს: „ლიახვი მტკვარში ჩაედინება ერთ ვერსზე² უფრო ქვევით. გორი გარშემორტყმულია კედლით და დაცულია ციხით, რომლის მშენებლობა უძველესი დროით თარიღდება”. ეს არის ისტორიული ციხე-სიმაგრე ქართლში, ქალაქ გორის ცენტრში, მაღალ კლდოვან ბორცვზე. „გორის ციხედ“ ის წყაროებში პირველად XIII საუკუნეში იხსენიება და მნიშვნელოვან სტრატეგიულ სიმაგრეს წარმოადგენდა. XVII საუკუნის 30-იან წლებში მისი ძირითადი ნაწილი აღადგინა როსტომ მეფემ, შემდეგ კი ის საფუძვლიანად შეაკეთა მეფე ერეკლე II-მ. ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების (1801) პირველ წლებში იქ რუსეთის არმიის გრენადერთა ბატალიონი იდგა. შემდგომში მან დაკარგა ადრინდელი მნიშვნელობა.

ბ. როტოე, ადგილობრივი გადმოცემებზე დაყრდნობით, ქალაქის ერთ-ერთი წისქვილის ახლოს მიუთითებს ეკლესიის არსებობის შესახებ, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა ავადმყოფობის დროს მიდიოდა და ლოცულობდა. წერს, რომ ეს ეკლესია გენუელ პატრებს ეკუთვნოდა და ის XVI საუკუნეში ოსმალებს დაუნგრევიათ. „გორში აქვსთ მეთხუთხმეტე საუკუნის საბუთები სახლების ნასყიდობისა. ...იქ დღესაც ვხედავთ ერთის წისქვილის ახლოს ნანგრევებსა, რომელთა შორის მოიპოება ერთი დიდი ქვა, რაზედაც იქაური მცხოვრებნი სანთლებს ანთებენ და ლოცულობენ, როდესაც მათ აცივ-აცხელებსთ.

ამბობენ, რომ იმ ადგილს აშენებული იყო კათოლიკების ეკლესიაო, რომელშიაც იყვნენ გენუელი (ჯენველი) პატრები და რომელიც ოსმალებმა მთლათ გაანადგურესო”.

¹ ე. მამისთვალიშვილი, გორის ისტორია, ტ. 2, თბ., 2019, გვ. 36.

² ვერსი - სიგრძის საზომი ძველებური რუსული ერთეული. 1 ვერსი უდრის 1,06 კმ-ს.

როტიეს ეს ცნობას დამოწმებული აქვს მიქელ თამარაშვილს და მის უტყუარობასაც იზიარებს,¹ მაგრამ თანამედროვე მკვლევართა ნაწილი მას სარწმუნოდ არ მიიჩნევს.²

ქალაქ გორში როტიე ეწვია კათოლიკე კაპუცინების მონასტერს. მონასტრის წინამძღვარმა მარიუსმა როტიეს აჩვენა ქალაქის კომენდანტის ქალიშვილის განსასვენებელი ადგილი. იგი ახალი გარდაცვლილი იყო და რადგანაც მისი დედა წარმოშობით იყო პოლონელი კათოლიკე, ის კათოლიკურ მონასტერში დაუსვენებით. ასეთი მწუხარების ჟამს დაიდო როტიემ ბინა ქალაქის კომენდანტთან, თუმცა იქ დიდხანს არ გაჩერებულა და მალევე შეუდგა სამზადისს ოსმალეთისაკენ წასასვლელად, მანამდე კი უფლისციხესაც ეწვია.

როტიე აღნიშნავს, რომ უფლისციხისაკენ წასასვლელ მან გორში ვერ იპოვა შესაბამისი ეტლი, ამიტომ გზის გაგრძელება ჯორების საშუალებით მოუხდა. „გორში შეუძლებელი იყო ისეთი ეტლის შოვნა, როგორცაც აქამდე ჩამოვედით, რამდენიმე ცხენითა და ჯორით დავკმაყოფილდით, ამ უკანასკნელის არსებობას ბევრი ხალხი ვერ იჯერებდა. ვირისა და ფაშატი კამეჩის ჰიბრიდი ძლიერ გავრცელებულია სპარსეთის მთელ ჩრდილოეთში და მე ის მრავლად ვნახე საქართველოშიც. ის უფრო დიდი, ლამაზი, ძლიერი და ნაკლებად ჯიუტია, ვიდრე ვირი ან ჯორი. ტვირთი ამ პირუტყვებს ავკიდეთ, მე, ჩემი ცოლი და შვილები კი ცხენებზე შევსხედით. მოვიმზადე თურქეთის საზღვარზე ჩასაცმელი ჩერქეზული ტანისამოსი; ასევე იყო ჩაცმული ჩვენი ორი მსახურიც. ჩემმა ცოლმა არ ისურვა ჩერქეზული ტანსაცმლის ჩაცმა, მაგრამ ვუალი მუდამ მოხვეული ჰქონდა. არაფერი არ იყო უფრო ორგინალური სანახავი, ვიდრე ჩვენი პატარა ქარავანი თავისი მრავალნაირი კოსტიუმით, ბარგითა და ასე გამორჩეული

¹ მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბ., 2011, გვ. 70, 602.

² ნ. ნაცვლიშვილი, კათოლიკური ეკლესიები საქართველოში: ისტორია და არქიტექტურა. სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კულტურის კვლევების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად, თბ., 2019, გვ. 69.

პირუტყვით. გზაზე ჟაკ კალოს 'შეხვედრალა გვაკლდა. ჩვენ ქვაში გამოკვეთილი ციხესიმაგრის, უფლისციხის ციხე-დარბაზისკენ გავემართეთ, რომელიც გორიდან 10 ვერსზე და იმერეთის ძველ საზღვარზე მდებარეობს.'²

როტიეს შესანიშნავი მასპინძლობა გაუწიეს თავად წერეთლის ოჯახში, რომლის მლობელობაშიც უფლისციხე იმჟამად იმყოფებოდა. მოგზაური აღფრთოვანებულია იმ საკვების მრავალფეროვნებითა და უბრალოებით, რომლებიც მას მიართვეს: მრავალი მათგანი ისეთი ველური მცენარეებისაგან იყო დამზადებული, რომ მას აქამდე არც გაეგონა მათი საკვებად ვარგისიანობის შესახებ.

უფლისციხეში ყოფნის დროს როტიე ყურადღებას ამახვილებს თავადის ოჯახში მორთმეული კერძების აღწერაზე და დასძენს, რომ ღვინო რომელიც აქ იწურება, არაფრით ჩამოუვარდება საფრანგეთის სამხრეთულ ღვინოებს.

უფლისციხიდან წამოსვლის დროს პოლკოვნიკმა როტიემ გაიარა სურამი, რომლის შესახებაც ავტორი ბევრს არაფერს გადმოგვცემს, მხოლოდ მიუთითებს: „ჩვენ სავალ გზაზე მდებარე სურამი ოდესღაც მნიშვნელოვანი ქალაქი იყო, ახლა კი სრულიად გაუკაცრიებულია 1811 და 1812 წლების შავი ჭირის ეპიდემიის გამო. ოდესღაც ეს ციხე მოსახლეობას იცავდა თურქების შემოსევისაგან, ხოლო მისი დარჩენილი ნანგრევები თითქოს მათ საფლავებს სდარაჯობს.“³

თავი V

ედუარდ აიხვალდი

¹ ჟაკ კალო - ფრანგი მხატვარი, გრავიორი.

² ფრანგი ავტორების ცნობები მე-19 საუკუნის საქართველოს შესახებ (1, 2, 3, 4), მოამზადა ირინე ნაჭყებიაძე, გვ. 32.

³ ფრანგი ავტორების ცნობები მე-19 საუკუნის საქართველოს შესახებ, გვ. 33.

კარლ ედუარდ აიხვალდი, გერმანელი ბუნებისმეტყველი, გეოლოგი და ექიმი, დაიბადა 1795 წ 4 ივლისს, გარდაიცვალა 1876 წლის 10 ნოემბერს, სანქტ-პეტერბურგში. 1823 წელს იგი გახდა მედიცინის დოქტორი და ზოოლოგიის პროფესორი ყაზანის უნივერსიტეტში; ოთხი წლის შემდეგ ვილნოს უნივერსიტეტის ზოოლოგიისა და შედარებითი ანატომიის პროფესორი, ხოლო 1838 წელს პეტერბურგში მან მიიღო ზოოლოგიის, მინერალოლოგიისა და მედიცინის პროფესორის წოდება.

1825-1826 წლებში ყაზანის უნივერსიტეტის ხელშეწყობით ედუარდ აიხვალდმა მოგზაურობა განახორციელა კასპიის ზღვის აუზის ქვეყნებსა და კავკასიაში. შეისწავლა ამ ადგილების ფაუნა, ფლორა და გეოლოგია. კავკასიაში მოგზაურობის დაწყებამდე იგი საფუძვლიანად გაეცნო მანამდე აქ მყოფ მოგზაურთა ცნობებს და შემდგომში მათი დახმარებით მოახერხა საკუთარი ნაშრომის სრულყოფა, რომელსაც ეწოდება „მოგზაურობა კავკასიაში“. სწორედ აღნიშნულ ნაშრომშია დაცული ინფორმაცია საქართველოს შესახებ.

1826 წლის 5 აპრილს აიხვალდი თბილისს ეწვია, საიდანაც ორი დიდი ექსპედიცია მოაწყო დასავლეთ საქართველოში გორისა და სურამის გავლით ქუთაისისაკენ. უკანა გზაზე შეიარა ცხინვალში. ივნისის თვეში კი დაათვალიერა აღმოსავლეთ საქართველო.¹

აიხვალდი გვთავაზობს ეთნოგრაფიულ ჩანახატებს, ახასიათებს ხალხის ჩვეულებებს, აღგვიწერს ქალაქებს, სოფლებსა თუ ეკლესიებს, მიმოიხილავს სავაჭრო გზებს, გვაცნობს მრავალ სამოქალაქო თუ სამხედრო მოღვაწეს, რომლებთანაც მას უხდებოდა ურთიერთობა.

¹ ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, გერმანულიდან თარგმნა გია გელაშვილმა, თბ., 2013, გვ. 10.

გერმანელი მოგზაურის ნაშრომში დაცული ცნობები ძალზე მნიშვნელოვანია. მცირედი უზუსტობების მიუხედავად, ეს ცნობები უცხოელის თვალთ დანახულ იმდროინდელ საქართველოში მიმდინარე მოვლენებს ობიექტურად ასახავს.

5.1. ქალაქ გორის მოსახლეობა და ქართლში არსებული სოციალური გარემო ედუარდ აიხვალდის მიხედვით

ედუარდ აიხვალდი ქალაქ გორს ეწვია 1826 წლის 30 აპრილს, თბილისიდან დაწყებული ხანგრძლივი მგზავრობის შემდეგ. იგი გორში მცირე ხნით, როგორც

თვითონ ამბობს, მხოლოდ რამდენიმე საათით გაჩერდა, შესაბამისად, აქ გატარებული დროის განმავლობაში იგი ვერ შეძლებდა ქალაქის საფუძვლიანად გაცნობასა და მის აღწერას. ამიტომ სავარაუდოა, რომ იგი დაეყრდნო გორში მანამდე მყოფი ფრანგი მოგზაურის ჟაკ ფრანსუა გამბას ჩანაწერებს, რომელთანაც აიხვალდის ცნობები ქალაქ გორის შესახებ დიდ მსგავსებას ავლენს.

აიხვალდის ცნობით, გორში მოითვლებოდა 500-მდე სახლი, ქალაქში კი განსაკუთრებულად კარგი საცხოვრებელი გარემო პირობები არსებობდა. ამას ძირითადად განაპირობებდა გრილი ჰავა, რასაც ხელს უწყობდა მდინარე მტკვართან და ლიახვთან ქალაქის სიახლოვე, ხოლო მეორეს მხრივ, ქალაქის გარშემო არსებული მაღალი მთები, საიდანაც დანაბერი გრილი ჰაერით ქალაქი კარგად ნიავებოდა. თავის მხრივ, ეს გარემოება აქაურობას მავნე მწერების გაჩენისა და გამრავლებისაგან იცავდა, რომელთაც სხვადასხვა დაავადებების გავრცელება შეეძლოთ.

აიხვალდი ისევე, როგორც გამბა, საუბრობს ქართულ თავად-აზნაურულ წოდებას შორის არსებულ მარადიულ შუღლზე, როდესაც ერთნი მეორეთა მოსპობას და მათი ქონების დაუფლებისაკენ ისწრაფვოდნენ, რაც ქვეყნის ინტერესებს ძალზე აზიანებდა. საქართველოში რუსეთის დამკვიდრების შემდგომ ქართული თავადაზნაურობის ეკონომიკური მდგომარეობა მეტად შეილახა, ამის მიუხედავად, გამბას გადმოცემით, ქართულ სასამართლოში ძირითადი დავა ახლად გამდიდრებულ ვაჭართა შორის სწორედ აზნაურული წოდების დამტკიცებისათვის წარმოებდა, ხოლო თავადთა ის ჯგუფი, რომელიც გადარიბდა, თუმცა კი წოდება შეინარჩუნა, ყველანაირად ცდილობდა რუსეთის

არმიის სამხედრო სამსახურში ჩამდგარიყო და შემოსავალი გაეჩინა. „ამაში ხელს დიდად უწყობდათ დივიზიის მეთაური თავადი ორბელიანოვი“.¹

შემდეგომში მდგომარეობის ცვლილების გამო, სიტუაცია გართულდა, როდესაც სამხედრო სამსახურში მისაღებად რუსული ენის ცოდნა გახდა აუცილებელი. ქართველ თავადთა უმრავლესობას კი რუსულად წერა-კითხვა საერთოდ არ ემარჯვებოდა, ამიტომ სამსახურისა და ჯამაგირის გარეშე დარჩენილი ეს ფენა ისევ გლეხის ექსპლოატაციას ცდილობდა სარჩო საბადებლის გაჩენის მიზნით, რაც გლეხის უარესად გაღარიბებასა და გაღატაკებას იწვევდა.

იმჟამად გორის მოსახლეობას შედარებით მშვიდობიანი ურთიერთობა ჰქონდა ოსებთან, რომლებიც ცხინვალის ზემოთ მოსახლეობდნენ და ხშირად შიდა ქართლის მთელ ტერიტორიას აწიოკებდნენ და ძარცვავდნენ. როგორც აიხვალდი გადმოგვცემს, ამ მშვიდობიან პერიოდსაც ოსები სათავისოდ იყენებდნენ: „ახლა ისინი (ოსები) თავს სიამოვნებით ანათვლინებენ, მაგრამ, როგორც ჩანს, მხოლოდ იმიტომ, რომ მონათვლას მათთვის მოაქვს ვერცხლის მანეთი, ახალი პერანგი და ვერცხლის ჯვარი“.² ოსები თანხმდებოდნენ რომ ქრისტიანული წესი მიეღოთ, თუმცა ამას ზემოთ დასახლებული ნივთების მისაღებად უფრო აკეთებდნენ, ვიდრე საკუთარი სულიერი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ოსები ხშირად არაერთხელ ინათლებოდნენ სხვადასხვა სამღვდელო პირებთან, რათა საჩუქრები კვლავ მიეღოთ, რაზეც აიხვალდი ამბობს: „ისინი საკმაოდ ეშმაკები არიან, რომ ერთი და იგივე მღვდელის მიერ ხელახლა არ მოინათლონ, ამისათვის მიდიან ხან გორში, ხან თბილისში ან კიდევ სხვაგან.“

¹ ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, თბ., 2013, გვ.117. იგულისხმება დიმიტრი ზაქარიას ძე ორბელიანი (ორბელიანოვი) (1763-1827), - თავადი, გენერალ-ლეიტენანტი (1827), 1811 წელს მე-20 ქვეითი დივიზიის ბრიგადის მეთაური, წმ. გიორგის IV ხარისხის ორდენოსანი.

² ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, თბ., 2013, გვ.116.

მოგზაური ქალაქ გორში ქართველების გვერდით მიუთითებს სომხებისა და ებრაელების ყოფნაზეც, რომლებიც აქ ძირითადად სავაჭრო-კომერციული საქმიანობით იყვნენ დაკავებულნი. თითქმის იგივეს გადმოგვცემს გამზაც, როდესაც სომეხ ვაჭართა აქტიურობაზე საუბრობს ქალაქის ცხოვრებაში. მათ იმდენი შემოსავალი ჰქონიათ, რომ მოახერხეს და კათოლიკური მონასტრის მშენებლობა საკუთარი ხარჯებით დააფინანსეს.

5.2. ედუარდ აიხვალდი ეთნიკური უმცირესობების შესახებ შიდა ქართლში

გერმანელი მოგზაური დაწვრილებით ცნობებს გვაწვდის ქართლში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების შესახებ, რომელთა შორის

განსაკუთრებული სიმრავლით გამოირჩევიან სომხები და ებრაელები, მათ გვერდით კი არიან შედარებით მცირე რაოდენობით თათრები, რუსები და თურქები.

აიხვალდის მონაცემებით, ქართლში მთლიანი სომხური მოსახლეობა 25 500 ოჯახს მოითვლიდა, რომელთაგან იყვნენ „სომხები ბერძნული სარწმუნოებისა - 13 000 ოჯახი, მაჰმადიანი - 12 000 ოჯახი, სომეხი კათოლიკური სარწმუნოებისა - 500, საიდანაც ტფილისზე მოდის - 80 ოჯახი, გორის მაზრაზე - 40, ბამბაკისზე - 400.“¹

როგორც ზემოთ ვნახეთ, გერმანელი მოგზაური საქართველოში 1826 წელს იმყოფებოდა. თუ ქართლის მოსახლეობის შესახებ მის მონაცემები სწორია, მაშინ მკაფიოდ ჩანს, რომ რეგიონში სულ რაღაც 50-55 წლის განმავლობაში სომხური მოსახლეობის წილი მნიშვნელოვნად გაზრდილა. ცნობილია, რომ 1770 წლის დემოგრაფიული ნუსხით, „არს ქალაქი გორი და ამასა შინა მკვიდრობენ მართლმადიდებელნი ქართველნი, ფრანგნი, და სომეხნი, კომლი ხუთასი“. ე. ი. გორში ყველაზე მრავალრიცხოვან მოსახლეობას ქართველი მართლმადიდებლები შეადგენდნენ, შემდეგ მოდიოდნენ კათოლიკენი და ბოლოს გრიგორიანელი სომხები.²

სომხები ძირითადად ქალაქებში ცხოვრობდნენ და უმთავრესად კომერციული საქმიანობით იყვნენ დაკავებულები. მოგზაურის დაკვირვებით, ეს აისახებოდა შემდგომში მათ ხასიათზეც, რადგან მათში მძლავრობდა მზაკვრობა, სიხარბე და ქონების მოხვეჭის დაუოკებელი წყურვილი. სომეხი მზად იყო

¹ ედუარდ აიხველდი საქართველოს შესახებ, გერმანულიდან თარგმნა გ. გელაშვილმა, თბ., 2001, გვ. 71.

² ე. მამისთვალიშვილი, გორის ისტორია, I, თბ., 1994, გვ. 176-177.

ნებისმიერი საქმე შეესრულებინა, თუკი ამით რაიმე სახის ეკონომიკურ სარგებელს ნახავდა.

ხშირ მოვლენას წარმოადგენდა სომხების მხრიდან ცრუ ფიცის მიცემა სასამართლოში, რაც სომეხთა შორის მომხდარ გაუგებრობას დაუსრულებელ ხასიათს სძენდა და სასამართლოს სამართლის დადგენა ძალზე ურთულდებოდა.

ქალაქ გორის გარდა, სომხების მნიშვნელოვანი ნაწილი ცხოვრობდა ცხინვალში, რომლის მთლიანი მოსახლეობიდან (200 კომლი) - 30 ოჯახი იყო ებრაელების, 3-5 კომლი ოსი, ხოლო დანარჩენი უმრავლესობა სომხები და ქართველები იყვნენ.¹ სომხები როგორც აქ მცხოვრები ქართველები და ებრაელები, სახელმწიფოს წინაშე თანაბრად იყვნენ ვალდებული გადასახადების გადახდაზე და თანაბარი უფლებებით სარგებლობდნენ.

ქართლში იმჟამად ცხოვრობდნენ ებრაელებიც, რომელთა რიცხვი 300 ოჯახს მოითვლიდა. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი განსახლებულნი იყვნენ ქალაქ გორში, საბაზრო მოედნებთან ახლოს. აიხვალდის ცნობით, ისინი საკმაოდ კარგად ფლობდნენ ქართულ ენას და სომხების მსგავსად, აქტიურ სავაჭრო საქმიანობას ეწეოდნენ.

დასკვნა

საქართველოსა და მისი ერთი მხარის - შიდა ქართლის XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის პირველი მეოთხედის ისტორიის შესასწავლად

¹ ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, გერმანულიდან თარგმნა გ. გელაშვილმა, თბ., 2001, გვ. 235

მრავალცხოვან წყაროთა შორის ევროპელი მოგზაურების ცნობებიც მოგვეპოვება. მოგზაურთა მიერ საკუთარი თვალით ნანახი სინამდვილის აღწერა არ არის რეგიონში ამ პერიოდში განვითარებული მოვლენების სისტემური გადმოცემა, ასეთი განზრახვა მათ არც ჰქონიათ. მიუხედავად ამისა, განათლებული უცხოელი ადამიანების შთაბეჭდილებები, დაკვირვებები, ცალკეულ ნიუანსზე ყურადღების აქცენტირება და სხვ. მთლიანობაში საინტერესო დამატებითი ინფორმაციაა საკითხის გასაშუქებლად, მათ შორის, კონკრეტული ფაქტებისა და მოვლენების დასაზუსტებლად.

ნაშრომში განხილულია სამი გერმანელი (იაკობ რაინეგსი, ედუარდ აიხვალდი, იოჰან გიულდენშტედტი) და ორი ფრანგი მოგზაურის (ჟაკ ფრანსუა გამბა, ბერნარ როტიე) თხზულებები, რომლებიც მათ ავტორთა საქართველოში მოგზაურობის ქრონოლოგიური პრინციპით შეირჩა. განხილულ მოგზაურთაგან ორი მეცნიერი (იოჰან გიულდენშტედტი და ედუარდ აიხვალდი), ერთი დიპლომატი და ვაჭარი (ფრანსუა გამბა), ერთიც სამხედრო (როტიე) და ერთიც მრავალ დარგში განსწავლული (რაინეგსი) პიროვნება იყო. ჩვენს ქვეყანაში მათი სტუმრობის მიზანი ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა, რაც მათსავე ნაშრომებშიც მკაფიოდ ჩანს.

ევროპელი მოგზაურების ცნობათა სანდოობას ზრდის ის გარემოება, რომ ისინი ხშირად აღწერილი ამბების თვითმხილველნი არიან. ამასთან, არც თუ იშვიათად დასახელებული ავტორების მიერ გაშუქებული მოვლენები სუბიექტივიზმის ნიშნებსაც შეიცავს.

გერმანელ და ფრანგ მოგზაურთა დაკვირვებით, საქართველოს (მათ შორის ქართლის) დაუძღურებისა და ჩამორჩენის მიზეზები გაჭიანურებული

ფეოდალური წეს-წყობილება, მტრების გამუდმებული შემოსევები, მაღალი საიმპერიო გადასახადები და ასევე, ქვეყნის შიგნით არსებული მუდმივი შინა არეულობა და შფოთი იყო.

ევროპელ მოგზაურთა ცნობები მოწმობენ, რომ საქართველოში მათი ყოფნის პერიოდში შიდა ქართლში ნორმალური გზები არსებულა, რაც საშუალებას იძლეოდა ლიახვის ხეობაში ერთი დასახლებული პუნქტიდან მეორემდე მანძილი ერთ ან ორ საათში დაეფარათ.

საინტერესოა იოჰან გიულდენშტედტის ინფორმაცია შიდა ქართლში ოსთა განსახლების შესახებ. მოგზაური ოსურ დასახლებათა ლოკაციას მდ. ქსნის სათავესა და ქსნის შენაკად ჭურთას მიმდებარე სივრცით განსაზღვრავს. რაც შეეხება მდინარეების: ლეხურას, დიდი და პატარა ლიახვის, მეჯუდასა და მათ შენაკადებს, აქ გიულდენშტედტი შერეულ - ქართულ-ოსურ სოფლებს ასახელებს.

რამდენიმე მოგზაურმა (გიულდენშტედტი, აიხვალდი) ის ბუნებრივი რესურსებიც მიმოიხილა, რომელთაც საქართველო ფლობდა, მაგრამ მათი შეუსწავლელობისა და წიაღისეულის დამუშავების სათანადო ტექნიკის უქონლობის გამო, ათვისებას ვერ ახერხებდა.

ნაშრომში განხილული ევროპელი მოგზაურები ნაკლებად ეხებიან საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობის გაშუქებას, რაც ალბათ იმით უნდა აიხსნას, რომ მათ ხშირად თან დაჰყვებოდათ რუსეთის ხელისუფლების მხრიდან სპეციალურად მიზნული გამყოლი ან მეგზური, რის გამოც ადგილობრივ მოსახლეობასთან ამ თემაზე საუბარს უნდა მორიდებოდნენ. ისინი უმრავლეს შემთხვევაში ჯერდებოდნენ ადგილობრივი რუსული ადმინისტრაციის მესვეურთაგან მიღებულ ოფიციალურ ინფორმაციას, რაც, რა თქმა უნდა,

საქართველოსა და ქართველი ხალხის ნამდვილ მდგომარეობას ოდნავადაც არ ასახავდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბრაჰამ ვალენტინ უილიამს ჯეკსონის ცნობები საქართველოს შესახებ, ქართული თარგმანი გამოსცა, გამოკვლევა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. გიორგი სოსიაშვილმა, თბ., 2014.

2. აუგუსტ ჰაქსტჰაუზენი საქართველოს შესახებ: XIX საუკუნის პირველი ნახევარი. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა. თბ., 2011.
3. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1965.
4. გელაშვილი გ., ბრიტანული წყაროები XVIII-XX საუკუნის საქართველოს შესახებ, თბ., 2010.
5. ედუარდ აიხველდი საქართველოს შესახებ, გერმანულიდან თარგმნა გია გელაშვილმა, თბ., 2001.
6. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1991.
7. თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკეობისა ქართველთა, თბ., 2011.
8. თოთაძე ა., ოსები საქართველოში მითი და რეალობა <http://www.gurcu.org/gurcistan-osekli-soylentiler-ve-gercekler-anzor-totadze-icerigi-414.html>
9. თოფჩიშვილი რ., საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბ., 1997.
10. იოჰან გიულდენშტედტი, მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა. ტ. I, ტ. II, თბ., 1962-1964.
11. იაკობ რაინეგსი, მოგზაურობა საქართველოში. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა. თბ., 2002.
12. კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. გერმ. თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ლონდა მამაცაშვილმა, თბ., 1981.
13. მამისთვალიშვილი ე., გორის ისტორია, გორი, 2018, ტ. II.

14. XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ. იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ე. მამისთვალიშვილმა, თბ., 1981.
15. მიქიაშვილი ლ., რამდენიმე ეპიზოდი ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს მოგზაურობიდან ახალციხეში (საფარა, ხერთვისი). <http://logos.org.ge/files/files/Lela%20Miqiashvili.pdf>
16. მორიც ვაგნერი საქართველოს შესახებ. გერმანული ტექსტი თარგმნა, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა. თბ., 2002.
17. ნაცვლიშვილი ნ., კათოლიკური ეკლესიები საქართველოში: ისტორია და არქიტექტურა. სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კულტურის კვლევების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად, თბ., 2019.
18. ნაჭყებია ი., ფრანგ რეზიდენტთა ცნობები საქართველოზე. ნარკვევები საფრანგეთ-ირანის დიპლომატიური ურთიერთობის ისტორიიდან (XIX საუკუნის დასაწყისი), თბ., 2002.
19. ჟაკ ფრანსუა გამბა, მოგზაურობა ამიერკავკასიაში, ნაწ. I, ნაწ. II, თბ., 1987.
20. რუი გონსალეს დე კლავიხოს ცნობები საქართველოს შესახებ. ესპანურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ე. მამისთვალიშვილმა, თბ., 1992.
21. სოსიაშვილი გ., გერმანელი მოგზაურები ოსების შესახებ, თბ., 2007.
22. სოსიაშვილი გ., იდა პფაიფერის მოგზაურობა კავკასიაში, თბ., 2013.

23. სოსიაშვილი გ., რობერტ კერ პორტერი და ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 2015.
24. სულხან-საბას განმარტებით, „ფშანი არიან მდინარისაგან წყარო მუნვე ახლო გამოდევნილნი“, იხ: სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, II, ავტოგრაფიული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, თბ., 1993.
25. სურმანიძე რ., ტრაქტატის თანაავტორი, თბ., 1983.
26. ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, წგნ. 1,2,3, თბ., 1984-1987.
27. ფრანგი ავტორების ცნობები მე-19 საუკუნის საქართველოს შესახებ (1, 2, 3, 4). მოამზადა ირინე ნაჭყებამ, თბ., 2017.
28. ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს (1798-1850) ცნობები საქართველოს შესახებ, თარგმანი მოამზადეს ლელა მიქიაშვილმა და გიორგი სანიკიძემ.
<http://umurgulia82.blogspot.com/2018/07/1798-1850.html>
29. ჯანიაშვილი ლ., ოსთა საქართველოში მიგრაცია ქართულსა და რუსულ (ოსურ) მეცნიერებაში.
<https://ijhei.wordpress.com/2014/03/04/%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98-%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%97/>
30. Асланов, Ровшан Бахтияр оглы, Ирано-турецкие отношения в 20-60-х годах XIX в. Диссертация на соискание степени кандидата исторических науки, Баку, 1983. https://freereferats.ru/product_info.php?products_id=37750
31. <https://www.rmo.nl/museumkennis/geschiedenis-en-collectie/bernard-eugene-antoine-rottiers-1771-1857/>

32. https://books.google.ge/books?id=6QITAAAAYAAJ&printsec=frontcover&dq=inauthor:%22Bernard+Eug%C3%A8ne+Antoine+Rottiers%22&hl=en&sa=X&ved=2ahUKEwjx2Znluf_qAhVho4sKHZBUBkQQ6AEwAXoECAAQAg#v=onepage&q&f=false
33. <https://eng.travelogues.gr/collection.php?view=192>
34. https://nl.wikipedia.org/wiki/Bernard_Rottiers